# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

ფასი 1 ლარი

№97 (9777) 2024 წლის 26 აგვისტო. ორშაბათი


## მოგზაური მტრედები საქართველოს საარჩევნო ცაზე

ალეკო ალანიშვილი





ჩვენისთანა წამხედურა ხალხს ბევრიღა სჭირდება ჩვენი ზომაზე მეტად განკაცებული პოლიტიკოსი ამორძალების შემხედვარეს? მოისმინე სალომე ს-ის, ხატიას, ანა ნ-ის, ანა წ-ის, ხათუნას, თამარის, ბაიას და სხვათა ,,რევოლუციური" გამოსვლები, მათი მრისხანე გაწევები და ოპონენტი მამაკაცების გაწვევები სხდომათა დარბაზიდან ანგარიშის გასასწორებლად: შე, ნაბიჭვარო!..

2



ივანე მაჩაბელი – 170

## გადაიჩეხა მტკვარში ჭადარი!..

7

## ვეძებ პარტნიორს

### ერთი პატარა, შინაურული პარტიის შესაქმნელად

თეიმურაზ ქორიძე

4

## დათო მაღრაძის ლექსი სიცილიაში ხარების ტაძრის კედელზე განთავსდა



12

## სატანისტების შაბაში

მომავალში ფაშიზმი თუ გამოჩნდება, მას უთუოდ ლიბერალიზმის სახე ექნება!

რონალდ რეიგანი

6




### ბიძინა ივანიშვილი:

## იოტისოდენა შეცდომის დაშვების უფლებაც არ გვაქვს!

გუშინ „ქართული ოცნების" საარჩევნო კამპანიის რეგიონული ღონისძიება რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მოსახლეობისთვის ამბროლაურში გაიმართა.

ამომრჩევლებს პარტიის ლიდერები მამუკა მდინარაძე, ირაკლი ღარიბაშვილი, კახა კალაძე, შალვა პაპუაშვილი, ირაკლი კობახიძე მიესალმნენ.

ამომრჩევლებს სიტყვით მიმართა პარტიის საპატიო თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა.

მოგესალმებით ჩემო ქართველებო, მოგესალმებით რაჭველებო, ლეჩხუმელებო, სვანებო.

შეუძლებელია, კავკასიონის ამაყად მდგარ თვალუწვდენელ მწვერვალებს უცქერდე და არ გაღელვებდეს იმაზე ფიქრი, ღმერთისგან ნაბოძები ეს საჩუქარი რამდენი ჭირისა და ლხინის, საგმირო ისტორიის მომსწრე ყოფილა. მიუხედავად ბევრჯერ თავს დამტყდარი უბედურებისა თუ გაჭირვებისა, ბუნებრივი კატაკლიზმებისა თუ მტრის შემოსევებისა, რაჭველებმა, ლეჩხუმელებმა და სვანებმა სათუთად, ხელუხლებლად შემოგვინახეს თითოეული ამ კუთხისთვის დამახასიათებელი ტრადიციები, კულტურა თუ ადათ-წესები.

ქართველების ერთ-ერთი სიძლიერეც ხომ სწორედ ეს არის – მამულის, ენისა და სარწმუნოების გარშემო გაერთიანებული ხალხი, რომელიც ამავდროულად იმდენად მრავალფეროვანია, რომ რაჭულ სიდინჯესა და შრომისმოყვარეობას, სვანურ სიმამაცესა და სამართლიანობას, ლეჩხუმურ სტუმართმოყვარეობას და მიზანდასახულობას, სრულიად განსხვავებულ, მაგრამ მაინც ერთმანეთზე გადაჯაჭვულ უამრავ ლამაზ ტრადიციას იტევს. სწორედ საკუთარი კუთხის სიყვარულმა და თავგანწირვის უნარმა შემოგვინახა რაჭაც, ლეჩხუმიცა და სვანეთიც, ჩვენ კი არ გვაქვს უფლება, წინაპრების დაწყებული საქმე არ გავაგრძელოთ, არ მოვუფრთხილდეთ და არ ვიზრუნოთ მათ დანატოვარზე.

როდესაც 12 წლის წინ, 2012 წლის 27 აგვისტოს, აქ, ამ ადგილზე პირველად შეგხვდით, იმ პრობლემებსა და გაუსაძლის პირობებზე ვსაუბრობდით, რომელიც წინა ხელისუფლების დანაშაულებრივმა პოლიტიკამ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მოსახლეობას შეუქმნა. ყველაზე უკეთ თქვენ გახსოვთ, როგორ იფლანგებოდა ის უდიდესი პოტენციალი, რომელიც აქაურობას გააჩნია. სამკურნალო წყლებით, უნიკალური ჯიშის მცენარეებით, მსოფლიოში გამორჩეული ვაზის ჯიშებით განთქმული და მდიდარი კუთხეები, უდიდესი ტურისტული პოტენციალის მატარებელი მხარეები როგორ ნადგურდებოდა, აქაურობას როგორ იყენებდა პირადი სარგებლისა და ინტერესებისთვის „ნაციონალურ მოძრაობასთან" დაახლოებული ვიწრო ჯგუფი, მოსახლეობას კი ერთადერთ გამოსავლად საკუთარი სახლ-კარის, მიწის დატოვება და სხვაგან გადასახლება ესახებოდა.

იხ. მე-3 გვ.

# მოგზაური მტრედები საქართველოს საარჩევნო ცაზე



**რაც უფრო ახლოვდება ოქტომბერი, გამორჩეულად კი 26 რიცხვი, მით უფრო მატულობს მღელვარება და მოლოდინი.**

**და აი, „ქართულმა ოცნებამ“ საარჩევნო კამპანიის ზარს ჩამოჰკრა. 20 აგვისტოს პირველი წინასაარჩევნო გასვლითი შეკრება გაიმართა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში. შეკრებილ ხალხმრავალ საზოგადოებას მიმართეს პარტიის ხელმძღვანელებმა, მათ შორის „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა.**

მისი მთავარი გზავნილი იყო არჩევნებზე ქუდზე კაცის გამოსვლა, რათა „ქართულმა ოცნებამ“ არა თუ უბრალოდ გამარჯვება იზეიმოს, არამედ საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვოს, რაც იმისთვის სჭირდება, რომ პირველ რიგში გაასამართლოს ნაცმოძრაობა, რომელსაც უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინაშე და დღესაც საქართველოს ომისა და არეულობისკენ ექაჩება. უამისოდ პოლიტიკური ცხოვრება არ გაჯანსაღდებაო.

ივანიშვილისავე წინასწარმეტყველებით, მას შემდეგ, რაც რეგიონში მშვიდობა დამყარდება, გაჩნდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსიც. საჭირო გახდება კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა. ამისთვისაც აუცილებელია „ქართულ ოცნებას“ პარლამენტში ჰქონდეს საკონსტიტუციო უმრავლესობა, რადგან ასეთ დროსაც კი კრებსითი ნაცმოძრაობა ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ წავა... ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ქვეყანამ მუდმივად დანაღმულ ველზე იაროს!“ – განაცხადა ბატონმა ბიძინამ.

იუსტიციის მინისტრი რატი ბრეგაძე სოციალურ ქსელში მოსწრებულად წერს ნაციონალური მოძრაობის მუდმივი ვაინაჩრობის მცდელობის გამო, რომ როგორმე ფეხი მოიკიდოს, კვლავ წამოყოს თავი. „კოლექტიური ნაცმოძრაობის მიმოფანტული ანასხლეტების გაერთიანება კი ისეთივე წარუმატებელი იქნება, როგორც ერთხელ აფეთქებული ხელყუმბარის ნაფლეთებისგან ახლის შექმნის მცდელობა. ვადაგასული, გზააბნეული ტერორისტების კლუბი...“

**მანამდე „ქართულმა ოცნებამ“ გამოაქვეყნა მმართველი პარტიის კიდევ უფრო ვრცელი და დეტალური განცხადება იმის თაობაზე, თუ რისთვის სჭირდება მას საკონსტიტუციო უმრავლესობა არჩევნებში. მასში ნათქვამია, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებისთანავე იგი დააინიცირებს სამართლებრივ პროცესს, რომლის შედეგადაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ყველა მისი სატელიტი თუ მემკვიდრე პარტია არაკონსტიტუციურად გამოცხადდება. „2024 წლის საპარლამენტო არჩევნები არის ერთგვარი რეფერენდუმი, სადაც ქართველმა ხალხმა საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს, ირჩევს ომს თუ მშვიდობას, ირჩევს მორალურ დეგრადაციას თუ ტრადიციულ ფასეულობებს, ირჩევს გარე ძალებზე საქართველოს მონურ დამოკიდებულებას თუ ირჩევს დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოს, ირჩევს კოლექტიურ ნაციონალურ მოძრაობას თუ „ქართულ ოცნებასო“.**

* * *

**ბედი** მომეცი და თუნდაც სანაგვეზე (სანეხვეზე) გადამაგდეო, სწორედ რომ „ლელოზეა“ ნათქვამი. იღბალი მაქვსო, იმან უნდა თქვას. აქამდე იყო ერთი ჩვეულებრივი პარტია, ცოტა უფრო ხალხმრავალი, თორემ სხვათაგან არაფრით გამორჩეული, ისეთივე ტრაბახა, ისეთივე მოძალადე, აღვირახსნილი... მაგრამ ახლახან „ლელო“ იღბალმა გაიხსენა და „ძლიერ საქართველოდ“ აქცია. დღეს ის ნაცმოძრაობის შემდეგ მეორე მძლეთამძლე ნაცური პარტიაა და თუ 26 ოქტომბრამდე მშვიდობით მიგვაწევინა, მთელმა პოზიციამ დიდზე დიდი მადლობა უნდა ვუთხრათ გამჩენს.

რა მოხდა, რა ისეთი იღბალი დააფრინდა „ლელოს“ ხარაბუზასავით? რა და მასში გაერთიანდნენ საქართველოს პარტიულ ველზე ცალ-ცალკე მძოვი ბიზონები: „გირჩი ზურაბ ჯაფარიძე“, „დროა“ – ელენე ხოშტარია, „თავისუფლების მოედანი“ – ლევან ცუცქირიძე და, რაც მთავარია, „მოქალაქე“ – ალეკო ელისაშვილი. სინდისგარეცხილი გრიგოლ გეგელია და კიდევ უფრო უარესი სალომე სამადაშვილი თუ ანა ნაცვლიშვილი ხომ ისედაც იქ იყვნენ... ჰოდა, ახალგამოგონილი ანუ კარგად დავიწყებული ძველი პოლიტიკოსის დავით გამყრელიძის საშტაბო მთავარსარდლობით ერთად შეუტევენ საქართველოს მთებს და ველებს...

ზემოთ მოხსენებული პირები შტაბის უმთავრეს მიმართულებებს წარუძღვებიან: ზურაბ გირჩი – უკანალების მიმართულებას. დასჭირდება სუპერ-პარტიას და მეუკანალე ზ. ჯაფარიძე უმალ დარაზმავს თავის ლომებს, რათა „ლელოს“ პარტიულ მტერს ენა მუცელში ჩაუგდოს შიშველი, ფუმფულა უკანალების მიშვერით; ელენე ხოშტარია – ბნელი გზების მიმართულებას. დასჭირდება „მძლავრ საქართველოს“ და ლიაკა უმალ დაადგება უკუღმართ გზას მშობლიური რუსეთისაკენ; ალეკო ელისაშვილი – პროვოკაციის მიმართულებას. მამუკა ხაზარაძე გაიფიქრებს ვინმეს პროვოცირებას და ბუჩქებიდან გამოხტება „მოქალაქე“ ელისაშვილი მის წასაქიმუნჯებლად და მერე საჯაროდ საგვემად... **ასეთია „ლელო“ დღეს.**

* * *

**„გამსხვილდა“** „კოალიცია ცვლილებისთვის – გვარამია, მელია, გირჩი, დროა“ (ასე ჰქვია ოფიციალურად). ახლახან მას შეუერთდნენ რესპუბლიკური პარტია და სამოქალაქო ორგანიზაცია „სალამი“ (ოქტაი ქაზუმოვი). რესპუბლიკელმა ხათუნა სამნიძემ დამაიმედებლად განაცხადა: „მე მოვიგე პირადი ბრძოლა უმძიმეს სენთან. ახლა დროა, რომ განვკურნოთ ქვეყანა!“

რომან გოცირიძე ცალად დარჩა ევროოპტიმიზმის უღელში: ხატია დეკანოიძემ უგანა, რათა პარლამენტის წევრობა დროულად მოეგვარებინა და, როგორც მოსალოდნელი იყო, მშობლიურ ნაცმოძრაობას დაუბრუნდა. ანა წითლიძის მოულოდნელი ხატოვანი თქმით „ნაციონალური საპარლამენტო სიის ხათრით კიდევ ერთი უძღები შვილი დაუბრუნდა ბუდეს“. ანა ხატიას უსვამს ტყვიებივით კითხვებს, რომლებსაც ის, ალბათ, არასდროს გასცემს პასუხს: ახლებში არ მიგიღეს, გამსვლელ სიაში შენნაირი ბევრი გვყავს და შენ ვის დაკარგვიხარო? ერთობის კი არა, საპარლამენტო სიის ხათრით იზელ ახლა ამ ყველაფერს, მაგრამ რა ნომერზეც არ უნდა ივაჭრო სიაში, შენი ავტორიტეტი ენმ-ის ამომრჩევლებში ნულიაო!

* * *

**რამდენი ხატიას მსგავსი „განულებული“ მოგზაური მტრედი დაფარფატებს ახლა ქვეყნის წინასაარჩევნო ცაზე, რამდენი გზააბნეული ეძებს დასაჯდომს რომელიმე სიის ქანდარაზე! ამიტომაც არის, სამტრედეებიდან ფრთების ტლაშუნი ისმის, ღუღუნი კი არა. ან რა ღუღუნს გაიგონებ, როცა გულგახეთქილი „მტრედები“, არიქა, რომელიმე სიაში მოვასწრო შეტენვაო, აფრენა-დაფრენას უნდებიან, ფრრრ, ფრრრ!**

* * *

**ახლა ერთი ფრიად საინტერესო რამ მინდა გიამბოთ.**

**ამას წინათ გაერთიანებული სამეფოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება წავიკითხე და ვეღარ ამოვიგდე თავიდან: მიზოგინია (ქალთმოძულეობა) შესაძლოა ექსტრემიზმის ერთ-ერთ ფორმად გამოცხადდესო. ხელისუფლების განცხადებით, ქალების მიმართ სიძულვილი იდეოლოგიური ტენდენციაა, რომელიც სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენსო. ხელისუფლებას თურმე რამდენიმე წელია აწუხებს ე. წ. ინსელების საკითხი (ახალგაზრდა მამაკაცების სუბკულტურა, რომლებიც „იძულებულნი არიან“, თავი შეიკავონ სექსისგან და ამაში ქალებს ადანაშაულებენ). აქ ძალაუნებურად მწერალ აკა მორჩილაძეს უნდა მივმართოთ: „ქალი თუ არ იქნება, რაინდი საიდან მოვა?“.**

**წავიკითხე და შიშმა გამკრა. ჩვენისთანა წამხედურა ხალხს ბევრიღა სჭირდება ჩვენი ზომაზე მეტად განკაცებული პოლიტიკოსი ამორძალების შემხედვარეს? მოისმინე სალომე ს-ის, ხატიას, ანა ნ-ის, ანა წ-ის, ხათუნას, თამარის, ბაიას და სხვათა „რევოლუციური“ გამოსვლები, მათი მრისხანე გაწევები და ოპონენტი მამაკაცების გაწვევები სხდომათა დარბაზიდან ანგარიშის გასასწორებლად: შე ნაბიჭვაროო! ჰოდა, როგორც ჩანს, მიზოგინიაც ახლოა და ინსელებიც ეგერ დგანან პირველ მოსახვევში!**

**მე რომ შარშან პარლამენტში „რუსული კანონის“ წინააღმდეგ დეპუტატი ქალბატონების გაათვრებულ-გავეშებული გამოსვლები ვიხილე, ჩვენი პარლამენტარი მამაკაცების ჩვეულებრიობა, ანუ სექსიც მათ შორის, იმდენად შორეულად და უცხოდ მეჩვენა, რომ შემრცხვა მათ მიმართ ამგვარი რამის გაფიქრებაც კი!**



**ჩვენისთანა წამხედურა ხალხს ბევრიღა სჭირდება ჩვენი ზომაზე მეტად განკაცებული პოლიტიკოსი ამორძალების შემხედვარეს? მოისმინე სალომე ს-ის, ხატიას, ანა ნ-ის, ანა წ-ის, ხათუნას, თამარის, ბაიას და სხვათა „რევოლუციური“ გამოსვლები, მათი მრისხანე გაწევები და ოპონენტი მამაკაცების გაწვევები სხდომათა დარბაზიდან ანგარიშის გასასწორებლად: შე ნაბიჭვაროო!**



**ალეკო ალანიშვილი**

ხმა ერის გასაგონად!
საქართველოს რესპუბლიკა

# ბიძინა ივანიშვილი:
# იოტისოდენა შეცდომის დაშვების უფლებაც არ გვაქვს!

პირველი გვერდიდან

მე მაშინ დაგპირდით, რომ ჩვენი ხელისუფლება აქაურობას ახალ სიცოცხლეს შესძენდა, საკანონმდებლო დონეზე დაარეგულირებდა მაღალმთიანი რეგიონის სტატუსსა და მისგან მიღებულ შეღავათებს, მოაწესრიგებდა ინფრასტრუქტურას, შიდა თუ მაგისტრალურ გზებს და განსაკუთრებით შეუწყობდა ხელს იმ ინვესტორებს, რომლებიც რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის განვითარებაში მონაწილეობის მიღების სურვილს გამოთქვამდნენ. თქვენ ყველაზე უკეთ იცით, 2012 წელთან შედარებით დღეს რამდენჯერ მეტი ინვესტიცია იდება რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში, ჩვენი ხელისუფლების მიერ მიღებულმა კანონმა მაღალმთიანი რეგიონების სტატუსის შესახებ, რამდენ ადგილობრივს აღებინა ხელი საკუთარი საცხოვრებლის დატოვებაზე ფიქრისგან. როგორ მოწესრიგდა, რა მნიშვნელობისა და რაოდენობის გზა გაკეთდა, რამაც პირდაპირ შეუწყო ხელი არსებული ეკონომიკური და ტურისტული პოტენციალის ათვისებას.

საკუთარი თვალით ხედავთ, რომ მიტოვებულმა სოფლებმა და დაბებმა ახალი სიცოცხლე შეიძინა, გაჩნდა შესაძლებლობა, გამორჩეული კურორტები ყველანაირი თანამედროვე სტანდარტის დაცვით ისე გაშენდეს, რომ ადგილობრივ უნიკალურ ეკოსისტემას არანაირი პრობლემა არ შეექმნას. 12 წლის წინანდელი პერიოდისგან განსხვავებით დღეს მეტრად დიდი ფასი აქვს მსოფლიოში აღიარებულ ხვანჭკარას, უნიკალურ მუჯურეთულსა თუ ალექსანდროულს და მათგან დამზადებულ ღვინოს. ეს დიდწილად სწორედ იმ სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამებისა და ჩვენი სწორი პოლიტიკის დამსახურებაა, რომლებმაც, პირველ რიგში, ადგილობრივების კეთილდღეობის ზრდა განაპირობა.

**მომდევნო 4 წლის მანძილზე ჩვენ აუცილებლად განვაგრძობთ დაწყებულ საქმეს. შევქმნით ყველა პირობას, რომ ადგილობრივებმა მაქსიმალურად აითვისონ ამ უნიკალურ მხარეში არსებული პოტენციალი. მოვიზიდავთ კიდევ უფრო მეტ ინვესტიციას და განვახორციელებთ კიდევ უფრო დიდ ინფრასტრუქტურულ პროექტებს. ამისთვის უმნიშვნელოვანესია, 26 ოქტომბრის არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“, თქვენთან ერთად, კიდევ დაამარცხოს „კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა“, შესაბამისად, გაანეიტრალოს მათგან და მათი პატრონებისგან მომდინარე საფრთხეები.**

12 წლის წინანდელი პერიოდის მსგავსად უნდა გავაკეთოთ ისტორიული არჩევანი, გადავარჩინოთ და სამშვიდობოს გავიყვანოთ ჩვენი ქვეყანა, შემდეგ კი 2012 წელს დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანოთ და ეროვნული ღირსების შენარჩუნებით გავხდეთ ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი. ამის პასუხად, ქართულ რადიკალურ ოპოზიციაში უხვად გაბნეული უცხოეთის აგენტები სულმოუთქმელად ელიან ნებისმიერ შესაძლებლობას, იქნებ როგორმე ძალაუფლება დაიბრუნონ, რაც საქართველოს ომში ჩართვას, ეკონომიკურ სიდუხჭირესა და შიმშილს, კიდევ მეტ დაკარგულ სიცოცხლესა და დამატებით ოკუპირებულ ტერიტორიებს ნიშნავს.

ქართველი კაცის გონიერება მაძლევს იმის თქმის სითამამეს, რომ 26 ოქტომბრის ერთგვარ რეფერენდუმზე საქართველოში ეროვნული სუვერენიტეტის იდეა და ტრადიციული ღირებულებები გაიმარჯვებს, თუმცა, იმისთვის, რომ გრძელვადიანი მშვიდობა და უსაფრთხოება იყოს გარანტირებული, საკონსტიტუციო უმრავლესობით გამარჯვება გვჭირდება. როდესაც საზოგადოების უდიდესი ნაწილის მხარდაჭერას მოველით, ვალდებულები ვართ, დეტალურად განვმარტოთ, რისთვის გვჭირდება საკონსტიტუციო უმრავლესობა და როგორ წაადგება ეს ჩვენი ქვეყნის ინტერესებს:

**პირველი, საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პოლიტიკური სისტემის გაჯანსაღება, რაც ქართული პოლიტიკიდან „ნაციონალური მოძრაობის“ ჩამოშორების გარეშე შეუძლებელი იქნება. როდესაც საკონსტიტუციო უმრავლესობას მოვიპოვებთ, ჩვენთვის ეს იქნება საზოგადოების დაკვეთა, რომ სამართლებრივი შეფასება მიეცეს ჩვენი ქვეყნის მტრების დანაშაულებრივ ქმედებებს, განსაკუთრებით კი 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ჩადენილ უმძიმეს დანაშაულებს. ჩვენ ვიღებთ პასუხისმგებლობას, რომ არჩევნების დასრულებისა და ქართველი ხალხისგან მაღალი ლეგიტიმაციის მოპოვების შემდეგ დაიწყება პროცესი, რომელიც დასრულდება დამნაშავეების გასამართლებით და მკაცრად დასჯით!**



მუდმივ ტერორში, თავსმოხვეულ დაპირისპირებასა და გამოგონილ პრობლემებში ცხოვრება ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავამთავროთ – ამის გარეშე გრძელვადიანი მშვიდობისა და სტაბილური განვითარების მიღწევა შეუძლებელი იქნება! სამწუხაროდ, მთელი ამ წლების მანძილზე ქვეყანაში სრულფასოვანი არჩევნები არ ჩატარებულა, რადგანაც ჯანსაღ პოლიტიკურ სისტემაში არჩევანი კარგსა და უკეთეს შორის არსებობს. ჩვენს ქვეყანაში კი ერთ მხარეს დგას „ქართული ოცნება“, რომელიც ქვეყნის გადარჩენაზე, განვითარებასა და მშვიდობის უზრუნველყოფაზე ფიქრობს, მეორე მხარეს კი კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა, რომელიც სახელმწიფოს მტრობს და უცხოურ ინტერესებს ემსახურება.

12 წლის მანძილზე საკუთარი თვალით ვუყურებთ გამოგონილი მიზეზებით, ხელოვნურად თავსმოხვეული პოლიტიკური კრიზისებით, ტრაგედიებით, მანიპულირებითა და სიცრუის პროპაგანდით რამდენჯერ ჰქონდათ გადატრიალების მცდელობა! მათი გეგმა ერთხელაც ვერ განხორციელდა და ხელისუფლება უცხოური ძალების აგენტურამ ვერ დაიბრუნა, თუმცა, კარგად გამოჩნდა, რამხელა რისკები ახლავს და რა შეიძლება მოჰყვეს თავსმოხვეულ პოლარიზაციას. „ქართული ოცნება“ ქართველმა ხალხმა უკვე სამი ვადით აირჩია, ჯანსაღ პოლიტიკურ სისტემაში კი პოლიტიკური ძალები გარკვეული პერიოდულობით უნდა ანაცვლებდნენ ერთმანეთს. ეს დღევანდელ ვითარებაში შეუძლებელია! ამის შესაძლებლობა მხოლოდ მას შემდეგ გაჩნდება, როდესაც „კოლექტიურ ნაცმოძრაობას“ ჯანსაღი ოპოზიციური ძალები ჩაანაცვლებენ და ჩვენს გუნდს ღირსეული კონკურენტი გამოუჩნდება.

**მეორე, საქართველოს პარლამენტში უკვე ინიცირებულია კონსტიტუციური კანონპროექტი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“, რომელსაც, ისევე როგორც ყველაფერს ქართული ინტერესებისთვის სასარგებლოს, „კოლექტიური ნაცმოძრაობა“ ეწინააღმდეგება. აქაური აგენტურა დიდი ენთუზიაზმით იცავს და ავრცელებს ფსევდოლიბერალურ იდეოლოგიას, რომლის მიზანიც ყოველგვარი ტრადიციული ფასეულობების მოშლა, ადამიანების ღირსებისგან თუ მორალისგან სრული დაცლა და ყველაზე დაბალი რანგის მონებისგან შემდგარი, ერთი ფსიქოლოგიის მქონე მასის შექმნაა. თუმცა, საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებისთანავე ჩვენ აუცილებლად შევასრულებთ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის დაკვეთას – ოჯახურ ღირებულებებსა და არასრულწლოვანთა ინტერესებს განსაკუთრებით მოვუფრთხილდებით და კონსტიტუციის დონეზე დავიცავთ!**

**მესამე,** ჩვენი – ქართველების ერთ-ერთი უმთავრესი ეროვნული ამოცანა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა. განვლილმა რამდენიმე წელიწადმა თვალსაჩინო გახადა, რომ რეგიონში მოვლენები ძალიან სწრაფად ვითარდება. შესაბამისად, შესაძლებლობის გაჩენისა და ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენისათვის, ნებისმიერ დროს უნდა ვიყოთ მზად. ასეთ შემთხვევაში აუცილებელი გახდება ჩვენი ქვეყნის მმართველობის სისტემა და სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა ახალ რეალობასთან მოვიდეს კორელაციაში, რისი ერთადერთი გზაც კონსტიტუციური ცვლილებების განხორციელებაა. დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აგენტურით გაჯერებული ოპოზიცია ამჯერადაც უარს იტყვის საქართველოს ინტერესების გატარებაზე, გააგრძელებს გარე დავალებების შესრულებას და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის აუცილებელ ცვლილებებს წინ აღუდგება. სწორედ ამიტომ გვჭირდება საკონსტიტუციო უმრავლესობა, რათა საჭიროების შემთხვევაში, საკონსტიტუციო ცვლილებებს წინ ვერავინ აღუდგეს.

**და მეოთხე,** როგორც პოლიტიკური საბჭოს მიერ გავრცელებულ წერილში, ასევე მცხეთაში ჩემს გამოსვლაში აღვნიშნე, რომ არის კიდევ ერთი, ჩვენი ქვეყნისა და სარწმუნოებისათვის ეგზისტენციალურად მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის თაობაზეც მიმდინარეობს აქტიური მუშაობა და უახლოეს პერიოდში საზოგადოებას მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების თაობაზე ვაცნობებთ.

გრძელვადიანი მშვიდობის დასამყარებლად ჩამოთვლილი პუნქტების სისრულეში მოყვანა უმნიშვნელოვანესია, თუმცა ამ მოცემულობაში უმთავრესი გამოწვევა ჩვენი დღევანდელობაა. ქვეყნის ომის ქარცეცხლში გახვევის მოსურნეები, შიდა თუ გარე მტრები ჩასაფრებულები ელოდებიან უმცირეს შანსსაც კი, რომ როგორმე ეროვნული ხელისუფლება აგენტურით შეცვალონ, რაც პირდაპირ ნიშნავს საქართველოში ბომბების წვიმას და ქვეყნის განადგურებას. იოტისოდენა შეცდომის დაშვების უფლებაც არ გვაქვს – ხალხის მიერ „ქართული ოცნებისთვის“ მიცემული თითოეული ხმა, თითოეული მანდატი არის მშვიდობის სასარგებლოდ გაკეთებული არჩევანი. თქვენთან ერთად, ფხიზლად უნდა გადავაგოროთ რამდენიმე თვეც და ომის დასრულებისთანავე, ჩვენი ქვეყნის მიმართ არსებული არაჯანსაღი ინტერესები საპირისპირო დამოკიდებულებით შეიცვლება. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ქვეყანა და ხალხი არანაკლებად სჭირდებათ მეგობრად ჩვენს პარტნიორებს, ვიდრე ჩვენ გვჭირდება ისინი.

საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება და ჩამოთვლილი საკითხების მოგვარება ჩვენს ქვეყანას გრძელვადიანი სტაბილურობისა და მშვიდობიანი განვითარების რელსებზე დააყენებს. ამიტომაც ჩემო რაჭველებო, ლეჩხუმელებო და სვანებო, ვისთვისაც მნიშვნელოვანია მშვიდობა, კეთილდღეობა და ეროვნული ღირსების შენარჩუნება, 26 ოქტომბერს გავიდეთ არჩევნებზე და გადამწყვეტი ნაბიჯი გადავდგათ ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი მომავლისთვის.

**მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით და კეთილდღეობით ევროპისკენ.**

**25.8.2024**

## სატირა(ლი) ციტატა

## თორნიკე მოლაშვილი: არცერთ ადამიანს, სააკაშვილით დაწყებული მისი კრიმინალური ბანდით გაგრძელებული, აზრადაც არ მოსვლიათ, ეთქვათ, რომ 2008 წელს დანაშაული არ ჩაუდენიათ!



**„ბიუჯეტის ქურდს, სააკაშვილის ყურმოჭრილ მონას და ნაცმოძრაობის ერთ-ერთ ყველაზე გარყვნილ და ბინძურ ადამიანს, გიგი უგულავას უთქვამს, მე რაღა უნდა გამასამართლონ, სამჯერ ვიჯექი ციხეშიო. თუ ამის იმედად არიან ნაცმოძრაობის ლიდერები, მძიმედ ყოფილა მათი საქმე“, – განუცხადა „იმედინიუსს“ სულხან მოლაშვილის ძმამ თორნიკე მოლაშვილმა.**

**მისი თქმით, ომის დანაშაულს „ნაცმოძრაობა“ თავადვე აღიარებს, კარგად უნდა იცოდნენ, რომ სამშობლოს წინაშე ჩადენილი ომის დანაშაულისთვის მათი ორწლიანი, სამწლიანი, თუნდაც ექვსწლიანი სასჯელი არაფერია.**

„ბიუჯეტის ქურდს, სააკაშვილის ყურმოჭრილ მონას და ნაცმოძრაობის ერთ-ერთ ყველაზე გარყვნილ და ბინძურ ადამიანს, გიგი უგულავას უთქვამს, მე რაღა უნდა გამასამართლონ, სამჯერ ვიჯექი ციხეშიო. თუ ამის იმედად არიან ნაცმოძრაობის ლიდერები, მძიმედ ყოფილა მათი საქმე. ბევრ მათგანს „განათლებულ იურისტად“ მოაქვს თავი და კარგად უნდა იცოდნენ, რომ სამშობლოს წინაშე ჩადენილი ომის დანაშაულისთვის მათი ორწლიანი და სამწლიანი, თუნდაც სააკაშვილის ექვსწლიანი პატიმრობა დიდი ვერაფერი შეღავათია. თანაც, ომის დანაშაულს კრიმინალთა ეს ბანდა თავადვე აღიარებს. კერძოდ, ნაცმოძრაობის გასამართლებაზე საუბარი მმართველმა გუნდმა რამდენიმე კვირის წინ დაიწყო, შემდეგ იყო პოლიტიკური საბჭოს განცხადება, შემდეგ საპატიო თავმჯდომარემ კიდევ უფრო მეტი სიცხადე შეიტანა გუნდის პოზიციაში. ამ პერიოდში არცერთ ადამიანს, სააკაშვილით დაწყებული, მისი კრიმინალური ბანდით გაგრძელებული აზრადაც კი არ მოსვლიათ, სიტყვიერად მაინც ეთქვათ, რომ მათ 2008 წელს არანაირი დანაშაული არ ჩაუდენიათ. უფრო მეტიც, აპელირებენ, რომ თითქოს პარტიების აკრძალვას აპირებს „ქართული ოცნება“, არადა, საუბარია კონკრეტულ, სამშობლოს წინაშე ჩადენილ დანაშაულზე, რომელსაც ვერავინ უარყოფს, ვერავინ ბედავს თქვას, რომ ყველაფერი სწორად გააკეთეს. ეს კიდევ ერთი სამტკიცია იმისა, რომ 2008 წელს ამ კრიმინალურმა ბანდამ ქართველი ხალხის და საქართველოს წინაშე უპატიებელი, უმძიმესი დანაშაული ჩაიდინა. ამიტომ სულ ტყუილად აქვთ იმედი, თავს დაიძვრენენ ციხეში გატარებული რამდენიმე თვით. უფრო მეტიც, მათივე აღიარებული დანაშაულის სიმძიმისა და მასშტაბის გათვალისწინებით, ამ ხალხს სამუდამო პატიმრობა უნდა მიესაჯოთ და ამ ვერდიქტს ითხოვს ქართველი ხალხი. ამ ვერდიქტს მოითხოვს ქართველი ხალხი 26 ოქტომბერს, როდესაც კიდევ ერთხელ მისცემს „ქართულ ოცნებას“ ლეგიტიმაციას და შემდეგ ყურადღებით დააკვირდება, როგორ აღასრულებს ხელისუფლება მის უზენაეს დაკვეთას!!!“

# ვეძებ პარტნიორს

## ერთი პატარა, შინაურული პარტიის შესაქმნელად

**ამ თემაზე საუბარი ბევრს აღიზიანებს და აშინებს კიდეც, მაგრამ თანამედროვე მსოფლიოში შექმნილი ვითარება წაყრუების საშუალებას არ გვაძლევს. ვგულისხმობ, ახლო აღმოსავლეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე საომარ მოქმედებებს, მსოფლიოს უდიდეს ქვეყნებს შორის არსებულ უმწვავეს დიპლომატიურ დაპირისპირებებს – „ცხელ“ და „ცივ“ ომებს – ლამისაა კარი რომ შემოგვიმტვრიოს.**

**ვითარება იმაზე გაცილებით რთულია, ვიდრე, უბრალოდ, საომარი დაპირისპირება ორ ძმურ სლავურ ქვეყანას (საუკუნეების განმავლობაში ერთ ქვეყანას!) შორის – რუსეთ-უკრაინის ომი უზარმაზარი საფრთხეა თანამედროვე კაცობრიობისთვის.**

მოდი, მივაგოთ კეისარს კეისრისა – დღეს რომ საქართველოში ომი არ მძვინვარებს საქართველოს მოქმედი ხელისუფლების, თანამედროვე ქართული დიპლომატიის დიდი დამსახურებაა. მან გაუძლო ცდუნებას, შიდა და გარე ძალების უზარმაზარ ზეწოლას და ქვეყანა რუსულ ოკუპაციას გადაარჩინა!

24 გვისტოს შესრულდა 33 წელი უკრაინის დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან. მოდი, მივულოცოთ ჩვენსავით გატანჯულ უკრაინელ ხალხს ეს საზეიმო დღე, ვუსურვოთ, მშვიდობა, გამარჯვება და წარმატებები.

რუსეთ-უკრაინის სისხლიანი დაპირისპირება რომ „მსოფლიო ომის პარტიის“ პროვოკაციაა, აგვისტოში კიდევ ერთხელ დადასტურდა – ნახევრად განადგურებული, სანახევროდ ოკუპირებული და მოსახლეობისგან სანახევროდ დაცლილი უკრაინის არმია რუსეთის ტერიტორიაზე, კურსკის ოლქში შეიჭრა და ამით მეტოქის (რუსეთის!) შეშინება სცადა. პრეზიდენტ ზელენსკისა რა მოგახსენოთ, მაგრამ წარმოუდგენელია, პროფესიონალ უკრაინელ სამხედროებს ამ ავანტიურის მოსალოდნელი შედეგები არ სცოდნოდათ – ამით ხომ საბოლოოდ გაეხსნა ხელ-ფეხი პრეზიდენტ პუტინს!




**ნახევრად განადგურებული, სანახევროდ ოკუპირებული და მოსახლეობისგან სანახევროდ დაცლილი უკრაინის არმია რუსეთის ტერიტორიაზე, კურსკის ოლქში შეიჭრა და ამით მეტოქის (რუსეთის!) შეშინება სცადა. პრეზიდენტ ზელენსკისა რა მოგახსენოთ, მაგრამ წარმოუდგენელია, პროფესიონალ უკრაინელ სამხედროებს ამ ავანტიურის მოსალოდნელი შედეგები არ სცოდნოდათ — ამით ხომ საბოლოოდ გაეხსნა ხელ-ფეხი პრეზიდენტ პუტინს!**

მართალია, 23 აგვისტოს ზელენსკის კიევში ინდოეთის პრემიერი ნარენდრა მოდი ესტუმრა, მაგრამ არა მგონია, მისი ვიზიტი უკრაინას დიდად წაადგეს – დისტანციური ინდური ალერსი ბინძურ ომში ყელამდე ჩაფლული უკრაინისთვის ვერაფერი შეღავათია.

**უკრაინის და დანარჩენი მსოფლიოს უტყუარი მეგობარი აშშ გასულ კვირას რუსეთის დასჯაზე, შეშინებასა და ბირთვული იარაღის მობილიზაციაზე ალაპარაკდა, მაგრამ დიდი ალბათობით, რუსეთის წინააღმდეგ ბირთვული იარაღის გამოყენებას ვერ გარისკავს. მან შესანიშნავად იცის, რომ ამგვარი ნაბიჯი კაცობრიობის ისტორიის დასასრულს ნიშნავს და აშშ გამონაკლისი ვერ იქნება. მით უფრო, როგორც თვითონვე აღიარებს, რუსეთის სტრატეგიული მოკავშირეები არიან ჩინეთი, ირანი, სამხრეთ აზიის ქვეყნები, ჩრდილოეთ კორეა... მოკლედ, თითქმის ნახევარი მსოფლიო.**

* * *

**საუბრის** შინაარსზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ფრიად ნიშანდობლივი ფაქტია, რომ აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან ვიზიტის შემდეგ პრეზიდენტი პუტინი სომხეთის პრეზიდენტ ფაშინიანსაც შეხვდა.

**იქნებ დადგა დრო კრემლთან მოლაპარაკებებზე საქართველომაც იფიქროს. სალაპარაკო ხომ, იცოცხლეთ, ბევრი გვაქვს!**

**მართალია, ამას ბევრი გარე და, განსაკუთრებით, შინაური მოწინააღმდეგე გამოუჩნდება, მაგრამ, როგორც ვხედავ, დღევანდელი საქართველოს ხელისუფლებას არც სიმამაცე აკლია და არც საღად მოაზროვნე პერსონების ნაკლებობას უჩივის. შექმნილი ვითარებაც, სწორედ შესაფერისია – ხვალ, გამარჯვებულმა რუსეთმა ჩვენთან საუბარი იქნებ არც ისურვოს.**

სულ უფრო მწვავდება ვითარება მახლობელ აღმოსავლეთში. ბანდიტური „ჰამასის“ წინააღმდეგ ომში ისრაელის გამტყუნება ძნელი და უმადური საქმეა, მაგრამ, მეორე მხრივ, 600-მილიონიანი არაბული სამყაროს დამორჩილება, ან შეშინება ოცნების საზღვრების მიღმაა. სავარაუდოდ, ისრაელის ხელისუფლებისთვის გასულ კვირას სწორედ ამის თქმა უნდოდათ პარტნიორებს, მაგრამ შეხვედრა უშედეგოდ დამთავრდა – ისრაელი მოწინააღმდეგის სრულ განადგურებამდე ბრძოლას აპირებს და თუნდაც ირანის მუქარები მისთვის ბევრს არაფერს ნიშნავს.

* * *

**დარწმუნებული ვარ, საქართველოში დღეს არსებული მწვავე პოლიტიკური დაპირისპირება უკვე ხვალ მხიარული ანეკდოტების წყაროდ იქცევა. თუმცა, ახლა საქმე სახუმაროდ ნამდვილად არა გვაქვს – ოპოზიციას არ მოსწონს ხელისუფლების არცერთი ნაბიჯი! არ მოსწონს და კორექტულად, დასაბუთებულად, არგუმენტების მოშველიებით აკრიტიკებს კი არა, ქართული რადიკალური ოპოზიცია (დღემდე რომ სააკაშვილის სიყვარულით სულდგმულობს) ქართველი ხალხის უმრავლესობით არჩეულ საქართველოს ხელისუფლებას მკვლელებისა და მოღალატეების ბანდას, მექრთამეს, გამყიდველს, უსაქმურს უწოდებს და ხელისუფლების სათავეში მისვლისთანავე სამარადჟამოდ მის მოუსავლეთში გასტუმრებას გვპირდება. გასული კვირა ამ მხრივ გამონაკლისი არ ყოფილა.**

რჩება შთაბეჭდილება, რომ რადიკალურ ოპოზიციაში არ მოიძებნება მეტნაკლებად საღად, რეალობის გათვალისწინებით მოაზროვნე პერსონა, ვინც ლიდერებს პრაგმატული ქმედებებისკენ მოუწოდებდა. ყველა ერთ ხმაზე ღაღადებს. ერთი მხრივ, ეს აშინებს ამომრჩეველს და მეორე მხრივ, ხელისუფლებას საპასუხო აგრესიული ქმედებებისკენ უბიძგებს.

დიდწილად ოპოზიციის ამ სრულიად აუხსნელი ქმედების ბრალი უნდა იყოს გასულ კვირას „ოცნების“ მხარდამჭერთა მცხეთაში ორგანიზებულ გრანდიოზულ შეკრებაზე უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ გაცხადებული და მერე მრავალგზის გამეორებული დაპირება არჩევნებში გამარჯვების შემდეგ „ნაცმოძრაობის“ გასამართლების, მისი, როგორც პარტიის აკრძალვის თაობაზე.

მოვუსმინოთ ბატონ ირაკლი კობახიძეს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს და საუკეთესო სამართალმცოდნეს: „ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რომ ყველა მათი მავნებლური მოქმედება, ქვეყნის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი, რასაც ისინი აკეთებდნენ ხელისუფლებაში თუ ოპოზიციაში ყოფნისას, გამოაშკარავდეს. ეს სახალხო პროცესი უნდა იყოს! მოსახლეობამ უნდა მიიღოს პასუხი, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ გასამართლდეს“.

პარლამენტის ვიცე სპიკერის ნინო წილოსანის აზრით, საქართველოს მოქალაქეებმა უნდა გავიაზროთ და გავიზიაროთ უკრაინისა და მოლდოვის გამოცდილება – ამ ქვეყნებში ხომ (ბევრ სხვა რამესთან ერთად!) ოპოზიციური პარტიები საერთოდ აიკრძალა, მაგრამ ამას „ქვეყნის შიდა და გარე აქტორების მხრიდან ნეგატიური შეფასება არ მოჰყოლია. შესაბამისად, აღშფოთება არც საქართველოში უნდა მოჰყვეს“.

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ შედარებით ლიბერალური იყო კახა კალაძის პასუხი ჟურნალისტების კითხვაზე: „ქართული ოცნება“ არ აპირებს პარტიების აკრძალვას – „ნაცმოძრაობის“ მიერ ჩადენილ უგუნურ ქმედებებს და ბოროტებას სჭირდება შესაბამისი გამოძიება, სჭირდება პასუხები კონკრეტულ კითხვებზე. დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ. საუბარია წარსულში ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებზე, რომელიც ტერიტორიების დაკარგვას ეხება და რომელსაც გამოძიება სჭირდება. საზოგადოებას უნდა ჰქონდეს სრული ინფორმაცია აღნიშნულ საკითხებზე.

თავს უფლებას მივცემ, ამ საკითხზე ჩემი მოკრძალებული მოსაზრებაც გაგიზიაროთ.

**მე ვეკუთვნი საქართველოს მოქალაქეთა იმ თაობას, ვინც საკუთარი თვალით ნახა და საკუთარ თავზე გამოსცადა „ნაცმოძრაობის“ მიერ ჩადენილი ყველა შეგნებული თუ შეუგნებელი ბოროტება. სრულად ვეთანხმები მოსაზრებას, რომ ცხრაწლიანი ნაცური მმართველობა იყო ერთ-ერთი ყველაზე ბნელი, სამარცხვინო ეპოქა საქართველოს ისტორიაში და იგი ნამდვილად იმსახურებს ობიექტურ შეფასებას. გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ, საუბარია ნაცმმართველობის ქმედებათა ობიექტურ შეფასებაზე, რაც, თავის მხრივ, სერიოზულ გამოძიებას მოითხოვს. აქ არ არის საუბარი სადამსჯელო ღონისძიებებზე დანაშაულთა გამოაშკარავების შემთხვევაში.**

**საქმე ის არის, რომ ნაცმმართველობის დამთავრების შემდეგ უკვე 12 წელიწადი გავიდა. ბევრი დამნაშავე უკვე დასჯილია, ბევრი ქვეყნიდან გაქცეულია და ბევრი ამქვეყნად აღარ არის. წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისითაც, დღეს უშუალო შემსრულებლებისთვის ბრალის წაყენება და მათი დასჯა იქნება ურთულესი, ხშირად – გადაულახავი პრობლემა. გარდა ამისა, პარტიის,**



**რჩება შთაბეჭდილება, რომ რადიკალურ ოპოზიციაში არ მოიძებნება მეტ-ნაკლებად საღად, რეალობის გათვალისწინებით მოაზროვნე პერსონა, ვინც ლიდერებს პრაგმატული ქმედებებისკენ მოუწოდებდა.**

**თუნდაც იგი ნაცმოძრაობა იყოს, გასამართლება და აკრძალვა იქნება ძალიან ცუდი პრეცედენტი ქართული პოლიტიკისთვის და ძალიან ცუდი მაგალითი ჩვენი ალალი პარტნიორებისა და მხარდამჭერებისათვის საერთაშორისო არენაზე.**

**გერმანული „ნაციონალ-სოციალისტური“ პარტიის გასამართლება მაგალითად ვერ გამოგვადგება – ფაშისტური პარტია გაასამართლეს არა მხოლოდ გერმანიისა და გერმანელი ხალხის, არამედ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულისთვის და გაასამართლეს არა მათი მმართველობის დასრულებიდან 12 წლის შემდეგ, არამედ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე, 1945 წელს.**

* * *

**გასულ** კვირას აშშ-ში აქტიურად მიმდინარეობდა დონალდ ტრამპისა და კამალა ჰარისის წინასაარჩევნო საპრეზიდენტო კამპანიები. აღსანიშნავია, რომ ტრამპის სასარგებლოდ საკუთარი კანდიდატურა მოხსნა და პრეზიდენტობისთვის ბრძოლას გამოეთიშა რობერტ კენედი-უმცროსი. დონალდ ტრამპმაც საჯაროდ მადლობა გადაუხადა კენედის მიღებული გადაწყვეტილებისთვის.

გაგიკვირდებათ და, გასულ კვირას ოპოზიციის, თვით რომან გოცირიძისაც კი, უცნაური გაწიწმატება გამოიწვია „ოცნების“ გადაწყვეტილებამ თბილისისა და რეგიონების საარჩევნო უბნებში საკუთარი საარჩევნო სიის წევრი ეგრეთ წოდებული დელეგატების გადანაწილების თაობაზე. ესაო, მაჟორიტარული არჩევნებისკენ მიბრუნებას ჰგავსო; ხელისუფლება თავისივე სიის „გამსვლელ“ ნაწილში ჩაწერილი „ფულის ტომარა“ კანდიდატებიდან ფულის გამოძალვას ცდილობსო.

იმედია, დაგაინტერესებთ ნაცმოძრაობის გენერალურ მდივნად აღზევებული პეტრე ცისკარიშვილის თეორია: „კონკრეტული ადამიანები ე.წ. დელეგატებად გაამწესეს რეგიონებში იმისათვის, რომ არა მხოლოდ მიხედვით, „ყოველ კვირას ქვეყნდება ავტორიტეტული, კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, სიღრმისეულ ანალიზზე დამყარებული შეფასებები, სადაც საქართველოს ყველა სფეროში წინსვლა დასტურდება (ეკონომიკის მდგრადობა, ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხის გაუმჯობესება, სამართლიანობა, ბიზნესის წარმოების სიმარტივე და თავისუფლება, ხელისუფლების გამჭვირვალობა, მედიის თავისუფლება და ა.შ.). ამ კუთხით საქართველო არათუ ევროკავშირის წევრობის კანდიდატებს, არამედ ბევრ განვითარებულ ევროპულ სახელმწიფოსაც უსწრებს. 26 ოქტომბრის არჩევნები ვაშინგტონისა და ბრიუსელის მმართველი ძალების მხრიდან დანახულია, როგორც კიდევ ერთი შესაძლებლობა საქართველოში მოიყვანონ გავლენის აგენტებით და მარიონეტებით დაკომპლექტებული ხელისუფლება, რომელიც უპირობოდ მოემსახურება მათ ინტერესებს“.

გასული კვირის განმავლობაში ჭიათურაში გრძელდებოდა კატეგორიული მოთხოვნები მაღაროების მფლობელებისგან კომპენსაციების მისაღებად. თუ ჟურნალისტების დასაბუთებულ კომენტარებს დავუჯერებთ, ამ მოთხოვნების და მაღაროების შესასვლელ-გასასვლელების გადაკეტვის ორგანიზატორები არიან ადამიანები, რომლებმაც უკვე მიიღეს კომპენსაციები ასი ათასი და მეტი ლარის ოდენობით. არ მითქვამს, რომ ამ „პროტესტს“ ბინძური პოლიტიკური თამაშის მყრალი სუნი ასდის. ისევე, როგორც ერთი შეხედვით მორიგ ყოვლად უაზრო აჟიოტაჟს თბილისის მერის კახი კალაძის „ნახევარმილიონიან ავტომობილზე“.

ძვირფასო კოლეგა ჟურნალისტებო, როგორ დავიჯერო, არ იცით, რომ მილიონერ კალაძეს შეუძლია თავს ნახევარმილიონიანი ავტომობილისა კი არა, წარმოიდგინეთ, ათმილიონიანი თვითმფრინავის ყიდვის უფლებაც მისცეს. რა თქმა უნდა, ის ამბავი არ გეცოდინებათ, რომ თავისი მერობის პერიოდში კახა კალაძეს კუთვნილი ხელფასი ერთხელაც არ აუღია.



**ძვირფასო კოლეგა ჟურნალისტებო, როგორ დავიჯერო, არ იცით, რომ მილიონერ კალაძეს შეუძლია თავს ნახევარმილიონიანი ავტომობილისა კი არა, წარმოიდგინეთ, ათმილიონიანი თვითმფრინავის ყიდვის უფლებაც მისცეს. რა თქმა უნდა, ის ამბავი არ გეცოდინებათ, რომ თავისი მერობის პერიოდში კახა კალაძეს კუთვნილი ხელფასი ერთხელაც არ აუღია.**

პარტიის ძალისხმევა იყოს არჩევნებში, არამედ ამ ადამიანებსაც ფული დაახარჯვინონ, ასევე ამ ადამიანების მაქსიმალური ჩართულობა მოიპოვონ. ამ მიზნებისთვის კანონმდებლობა შეცვალეს, საკუთარ თავს მოარგეს იმიტომ, რომ მათ ჰყავთ ასეთი გაქსუებული ფულის ტომრები, მათ აქვთ ეს რესურსი, რომ ადამიანებს აიძულონ, დააძალონ და რეგიონებში ფულის სახარჯველად გაუშვან. ამ კანონის მიხედვით ოპოზიცია იმოქმედებს თუ არ იმოქმედებს, ეს ოპოზიციის გადასაწყვეტია. იმიტომ, რომ ჩვენ „ქართული ოცნების“ დღის წესრიგით არც არასდროს ვცხოვრობდით და არც მომავალში ვაპირებთ... „რუსული კანონი“ ძალიან ცუდად აისახა საქართველოს ეკონომიკაზე – ორი წლის წინ ჩვენი სავალუტო რეზერვების ზრდა შეადგენდა 370 მილიონ დოლარს, წელს ივლისში სავალუტო რეზერვების ზრდა 75 პროცენტით ნაკლები იყო, თითქმის განულდა და ჩამოვიდა 91 მილიონზე“.

მოდი და, ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ ბატონი პეტრეს ცოდნით, გამოცდილებით, ლოგიკური აზროვნებითა და სიტყვა-პასუხით ნუ აღფრთოვანდები!

არადა, პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნეიტრალური საქართველო“ სულაც არ იზიარებს ცისკარიშვილის თეორიას. გასულ კვირას გავრცელებული მათი განცხადების

* * *

**23 აგვისტოს** გავრცელდა ინფორმაცია, რომ მსახიობმა კახა გოგიძემ, ადვოკატმა მიხეილ რამიშვილმა, პიარ-მენეჯერმა ხატია ბაკურაძემ, კონფლიქტოლოგმა აკია ბარბაქაძემ და სხვებმა დააფუძნეს კიდევ ერთი ახალი და მოელვარე პარტია სახელწოდებით „ჩვენ“. მათივე განცხადებით, „ჩვენ“ უეჭველად გაიმარჯვებს 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში. სავარაუდოდ, ამ გამარჯვების გარანტი გახლავთ ახალი პარტიის მთავარი დამფუძნებელი, გამოჩენილი პოლიტიკოსი, „ანტისაოკუპაციო მოძრაობის“ წევრი, ბატონი დავით ქაცარავა. ჯერჯერობით უცნობია, დააარსა თუ არა ახალი პარტია ბატონმა ალეკო ელისაშვილმა არანაკლებ შთამბეჭდავი სახელწოდებით „მე თვითონ“.

**ისე, თუ მოვიცალე, 26 ოქტომბრამდე იქნებ მოვასწრო და მეც დავაფუძნო ერთი პატარა პარტუკელა სახელად „ისინი“ – ვინ იცის, რაში გამამადგეს!**



**თეიმურაზ ქორიძე**

25. 08. 2024

# მილოცვა სოლომონ პავლიაშვილს



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

GEORGIAN ACADEMY OF AGRICULTURAL SCIENCES

**მრავალმხრივ მეცნიერს, პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს სოლომონ პავლიაშვილს დაბადებიდან 65 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 40 წელი შეუსრულდა.**

**აკადემიკოს სოლომონ პავლიაშვილს საქართველოსა და უცხოეთში გამოქვეყნებული აქვს ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და 17 მონოგრაფია (სახელმძღვანელო), მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები და პრემიები, ხოლო 2023 წელს განსაკუთრებული დამსახურებისთვის დაჯილდოვდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ოქროს მედლით.**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულთბილად ულოცავს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს აკადემიკოს სოლომონ პავლიაშვილს და უსურვებს ჯანმრთელობას, წინსვლას, ნაყოფიერ შემოქმედებით, სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია**

# საზაფხულო ბანაკი ბოლნისელი ახალგაზრდებისთვის



**ბოლნისში ახალგაზრდობის პირველი საზაფხულო ბანაკი „კავკასიის იურიდიული და ინტეგრაციის ცენტრის“ ორგანიზებით გაიმართა.**

ბოლნისის სოფელ ტანძიაში 20 აგვისტოს გამართულ ბანაკში ძირითადად ახალგაზრდები და მოზარდები მონაწილეობდნენ.

ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა რეზო გასანოვმა გახსნა ბანაკი, შემდეგ კი გულწრფელი მადლობა გადაუხადა იქ მყოფ ახალგზარდებს აქტიური საქმიანობისთვის, აგრეთვე აღნიშნა, რომ ბანაკი მომდევნო წლებში უფრო მასშტაბური გახდება.

სოფელ ტანძიაში მდებარე სულხან-საბა ორბელიანის სახლ-მუზეუმის ტერიტორიაზე ბანაკის მონაწილეებმა დასუფთავების აქცია გამართეს, შემდეგ კი მათ შორის გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გაიმართა.

ახალგაზრდებმა დიდი ქართველი მოაზროვნის სულხან-საბა ორბელიანის სახლ-მუზეუმი დაათვალიერეს.

ბანაკის მონაწილეებმა მოამზადეს და წარმოადგინეს პროექტები სხვადასხვა თემაზე, მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ეროვნული მუსიკისა და ფილმების „ გმირებისგან“ შემდგარ გასართობ და ინტელექტუალურ სპორტულ თამაშებში.

აღსანიშნავია, რომ ბოლნისის ახალგაზრდობის პირველ საზაფხულო ბანაკში 20-ზე მეტი სოფლიდან ოთხმოცამდე ახალგაზრდამ დასამახსოვრებელი და შემეცნებითი დღეები გაატარეს.

**საბიდ მამედოვი**



# სატანისტების შაბაში



## ღია გაკვეთილი ხელისუფლებისა და ისტებლიშმენტისთვის



**მილიარდი ევრო დაიხარჯა იმისთვის, რომ პომპეზური საზეიმო ცერემონიალი დადგმულიყო საფრანგეთში ოლიმპიური თამაშების გახსნასთან დაკავშირებით. ამით მსოფლიოს ვაჩვენეთ, — განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმა, — რანი ვართო და რა არისო საფრანგეთი.**

ვფიქრობ, მართალი თქვა ფრანგების პრეზიდენტმა.

ჩვენმა ტელევიზიებმა საგანგებო გადაცემები მიუძღვნეს ამ მოვლენას და „საზმაუს" ცნობილმა სპორტულმა კომენტატორებმა და არასპორტულმა პოპულარულმა ტელესახეებმა აღტაცებით აღნიშნეს, რომ ბევრი ოლიმპიადის გახსნას შევსწრებივართ (ერთმა თქვა, ჩინეთშიც კი წავედი საამისოდო!), მაგრამ ასეთი სილამაზე და გრანდიოზულობა ჯერ არ გვინახავსო.

გამიკვირდა და გული ჩამწყდა იმის გამო, რომ ეს საცოდავები ქართველი ქრისტიანები იყვნენ, ასე მეგონა აქამომდე და, ვაი, რომ მწარედ შევმცდარვარ. ესენი და უამრავი სხვაც თურმე 20-იანი წლების (XX საუკუნისა) მებრძოლი ათეისტების რეინკარნაციის გზით მოვლენილი ნეოტროცკისტები ყოფილან თურმე!

აბა, თუ ასე არ არის, რა უხაროდათ? საცინრად აგდებული ქრისტიანული რწმენის (და საერთოდ ღმერთის) უსაზიზღრესი ფორმით გაშარჟების სცენების ცქერა? ის სიამოვნებდათ, რომ სატანისტურ შაბაშში დაუსწრებლად მონაწილეობდნენ? გული იმაზე წყდებოდათ, რომ სატანას მაკრონთან ერთად ფალოსზე რომ არ ემთხვიენ? დამშვიდდით, თქვენ თუ იქ არ იყავით, სატანა ხომ იყო თქვენში, მალე იგრძნობთ ამას!

მიკიბ-მოკიბვის გარეშე პირდაპირ ვიტყვი, რადგან მოიარებით იმაზე ლაპარაკი რაც ოლიმპიური თამაშების გახსნაზე მოხდა საფრანგეთში, დიდი და უპატიებელი ცოდვაა. ამიტომ ყველამ უნდა იცოდეს, რომ 26 ივლისს საფრანგეთში მოეწყო სატანისტური შაბაში, რაც მიმართული იყო ღვთის რწმენის ამოძირკვაზე, ქრისტიანული რწმენის წინააღმდეგ კი არა, საერთოდ, ღმერთის წინააღმდეგ. ამ შაბაშის ყველა მონაწილე მეტ-ნაკლებად ცოდვილია და ყველა თავის წილ ცოდვის საფასურს გადაიხდის.

ერთი ამბავი მოხდა გასული საუკუნის 20-იან წლებში გურიაში, და რაც ახლა საფრანგეთში გამეორდა აი იმ ამბის, სხვა ფორმით წარმოჩენაა. აი ისიც: მებრძოლ ულმერთოთა ტროცკისტული ორგანიზაციის აქტივისტებმა გურიის სოფელ შემოქმედის ცნობილი ტაძრიდან ხატები გამოიტანეს, ეკლესიის კედელთან დაყარეს და ერთმა ნამეტნავად აქტიურმა მაუზერის ტყვია დაუშინა, თან გარშემო დარბოდა და დასძახოდა; აბა, რას მიზამ, აბა რას მიზამო! იქვე ერთი ხნიერი გურული კაცი იდგა და ამ სიგიჟეს მდუმარედ შესცქეროდა. როცა იმ ულმერთომ მაუზერი იძრო და ტყვია დაუშინა ხატებს და უშიშრად გაჰკიოდა — აბა, რას მიზამო, იმ მოხუცმა დინჯად შეახსენა; გაგაგიჟა!.. და რა გიქნას მეტიო. როგორ დასრულდა 20-იანი წლების ულმერთოთა, არული ცნობილია ყველასთვის; ზოგი გაგიჟდა, ზოგი ეკლესიის გუმბათიდან გადმოვარდა, ჯვარს რომ ამტვრევდა მაშინ, ზოგიერთებმა კი ერთმანეთი ამოხოცეს 30-იანი წლების ცოდვის კითხვის დროს.

ასე იქნება ახლაც!

როგორც ჩანს, სატანიზმი ძალიან მოედო მსოფლიოს. ასე რომ არ იყოს, ღვთის მორწმუნე ქვეყნები (არამარტო ქრისტიანული!) ამ სატანისტური შაბაშიდან, რომელსაც ოლიმპიური სახე აქვს, თავიანთ დელეგაციებს გაიწვევდნენ. პროტესტი თითქმის ყველა ქვეყანაში გამოთქვეს, მაგრამ ეს იყო მათთვის ჩვეული აღშფოთება-შეშფოთება. საყურადღებოა, რომ საქართველოში აღშფოთება მხოლოდ სასულიერო პირებმა გამოთქვეს, საერო მოღვაწეებისაგან ასეთი რამ არ მომისმენია.

ეს იმაზე მიუთითებს, რომ საფრანგეთში სატანისტური შაბაშის ცოდვა მარტო მაკრონებსა და მისნაირებს არ აწევთ. ამას თითქმის მთელი კაცობრიობა ინაწილებს მეტ-ნაკლებად, რადგან აშკარად გამოჩნდა, რომ მსოფლიო ეკლესიებსა და მეჩეთებში უამრავი ადამიანების ლოცვა და ღაღადი ფარისევლობაა მეტწილად, რადგან სატანისტურ შაბაშზე მოპოვებული ოქრო თუ ვერცხლი (მედლების სახით!) ამა თუ იმ ქვეყნის ღირსებასა და სიძლიერეზე კი არ ღაღადებს, არამედ იმ სატანისტურ დამღაზე, რომლის მოცილება გაუჭირდებათ ძალიან!

ჩვენმა წინაპრებმა იმით მოიტანეს დღემდე ენა და მამული, საკუთარი ვინაობა და სადაურობა, რომ ეშმაკს არ მიჰყიდეს სული. ასი ათასი ქართველის სიცოცხლე შეეწირა ღვთის ერთგულებას მაშინ, როდესაც სიკვდილის შიშითაც კი ფეხი არ დაადგეს წმინდა ხატს.

ახლა?

ტაშითა და ვაშათი ხვდებიან ამ ცოდვის ტრიალს, რომელიც თვალისმომჭრელად ბრწყინავს და გონებადაბნელებულ ხალხს ოქრო ჰგონია.



**მომავალში ფაშიზმი თუ გამოჩნდება, მას უთუოდ ლიბერალიზმის სახე ექნება!**

**რონალდ რეიგანი**

ახლა ერთი რიტორიკული კითხვა მაქვს ყველა პოლიტიკოსთან, რომლებსაც საკუთარი „შინ" ევროპა ჰგონიათ, ევროკავშირი და ნატო კი ბიბლიური სამოთხე. საით გვექაჩებით? იმ ოჯახში, რომლის სუფრის სათავეში საფრანგეთი და მისთანანი არიან? ეგ არის ჩვენი ხალხის არჩევანი, რომ სატანისტების შაბაშში პური გატეხონ და გვარამიას მიერ ჩაფსმული ღვინო დალიონ? თუ იმ ულმერთო, ამიტომ უზნეო და სულით ხორცამდე წარწყმედილი ხალხის მარაქაში მამაპაპური ღირსებით აღსავსენი გავერევით!!

არ იქნება ასე! ახლა ის ჟამია, როცა უნდა გაირკვეს, ვინ არის ქართველი, ქრისტიანი, საერთოდ ღვთის მორწმუნე, თუნდაც არაქრისტიანი და ვინ ეშმაკის მიმდევარი. აქ გვარსა და წარმომავლობას მნიშვნელობა არ აქვს. აი, მაშინ გაერთიანდება ერი და არა ფეხბურთის გულშემატკივრების საათნახევრიანი ერთად ყოფნის საფუძველზე, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰგონიათ.

დღევანდელ ახალგაზრდებს ასე ჩააგონეს: საბჭოთა კავშირი საშინელი ათეისტური სახელმწიფო იყო და ღვთის რწმენისათვის ადამიანებს ანადგურებდნენ. ასე იყო მართლაც 1939 წლამდე, მანამდე, ვიდრე სტალინმა უკანასკნელი ტროცკისტი ლიდერი, ნეოლიბერალური ტროცკისტულ-ლენინური ფაშიზმის ლიდერი არ გაუშვა (მიწაში), საიდანაც ველარ მოვიდოდა ვერასოდეს... აი, მაშინ აღადგინა (ბრძანებით!) საპატრიარქო და აკრძალა რწმენისთვის ადამიანების დასჯა: სწორედ ამან გადაარჩინა საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხები ზნეობრივი გადაგვარებისა და ნეოლიბერალური გონებრივი დეგრადაციისგან. ამან კარგა ხნით შეაჩერა ის სრული მარაზმი, რაც დღევანდელ ევროპასა და აშშ-ს ემუქრება. ამის შედეგი იყო სწორედ საბჭოთა კავშირის ისტორიული გამარჯვება ფაშიზმზე. მას შემდეგ, გარკვეული მიზეზების გამო, მოხდა ტროცკისტული-სატანისტური „იდეოლოგიის" რეინკარნაცია და, რადგან ცოდვით დამძიმებულ ევროპასა და აშშ-კანადაში სატანიზმისთვის ხელისშემშლელი კაცები აღარ არიან, უწმინდური ძალა ე.წ. ნეოლიბერალიზმის სახით, პანდემიასავით მოედო ნახევარ მსოფლიოს. თითქოს ახდა რონალდ რეიგანის წინასწარმეტყველება: **მომავალში ფაშიზმი თუ გამოჩნდა, მას უთუოდ ლიბერალიზმის სახე ექნებაო.**

ასეა ზუსტად!. ეს არის ნეოლიბერალური ფაშიზმი! კვლავ ვსვამ კითხვას ჩვენი ხელისუფლებისა და ისტებლიშმენტის წინაშე: რომელ გზას გიჩვენებთ თქვენი კომპასის ისარი? ღვთისკენ თუ სატანისკენ?, სიკეთისაკენ თუ ცოდვის უძირო უფსკრულისაკენ? არჩევანი ძნელი არ არის, ყველაფერი აშკარაა ყველასთვის, ვისაც მავნე ძალისგან გონება არა აქვს დაბინდული!



**ზურაბ ცუცქირიძე,**
ტელ.: 555 567 537
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, ი. გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი.

**P.S.**

**ეს წერილი ოლიმპიადის გახსნის მეორე დღეს დავწერე, მაგრამ მის დასრულებამდე არსად გამიგზავნია, რადგან სატანის შაბაშით აღფრთოვანებული პუბლიკის შემეშინდა. კარგად ვიცოდი ევროპული ინკვიზიციის კოცონები უფლის კარნახით კი არა, სატანის სურვილით ინთებოდა. ნამეტნავად მეშინია ცეცხლისა. არა მგონია, ეს წერილი ვინმემ გამოაქვეყნოს, მაგრამ ვაგზავნი მაინც, რა იცი, იქნებ...**

* * *

გუშინდელი მინაწერი

**ე.წ. ოპოზიციის ე.წ. „დემოკრატიის" ფესტივალის შემდეგ, უილიამ შექსპირის შეგონება გამახსენდა: „ბოროტი კაცი დანიაშიც ბოროტი არის." ხელისუფლებას ვურჩევ, არ დაივიწყოს ეს შეგონება.**

**ზ. ც.**

## ყაზახეთში 11 პედოფილს ქიმიურ კასტრაციას გაუკეთებენ

**წელს კოსტანის რაიონში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, 11 ადამიანს ქიმიურ კასტრაციას გაუკეთებენ.**

ყველა მათგანმა ჩაიდინა დანაშაული არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობის მუხლით.

ერთ ადამიანის კასტრაცია ბიუჯეტს 130-135 ათასი ტენგე დაუჯდება. ამ თანხაში შედის ექიმთან კონსულტაციები, გამოკვლევები და წელიწადში 24 ინიექცია.



ჟიტიკარინსკის რეგიონულმა საავადმყოფომ და არკალიკის რეგიონალურმა კლინიკამ მოიგეს სახელმწიფო შესყიდვა ამ სერვისის მიწოდებისთვის.

ქიმიური კასტრაცია სპეციალური ნარკოტიკების შემოღებით ელის 11 ადამიანს, რომლებიც გაასამართლეს არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობრივი ქმედებებისთვის. — წერს ყაზახური მედია.

# გადაიჩეხა მტკვარში ჭადარი!..

## ლიახვისპირელი მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე



**მიმდინარე წელს გამოჩენილი ლიახვისპირელი მწერლის, მთარგმნელის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ივანე მაჩაბლის დაბადებიდან 170 წელი შესრულდა.**

მრავალჭირნახული საქართველოს სიყვარულით დამაშვრალი ქართველის – ივანე მაჩაბლის საზოგადო მოღვაწეობა უმნიშვნელოვანესია. ერთ მამულიშვილს ესეც ეყოფოდა, მაგრამ ლიახვისპირელი განსწავლული ინტელიგენტის სახელს განსაკუთრებულ მნიშვნელობას მაინც მისი მთარგმნელობითი ღვაწლი სძენს. **აქ, უპირველესად, მოიაზრება ერთმანეთის მიყოლებით თარგმნილი შექსპირის პიესები: „ჰამლეტი,“ „ოტელო,“ „მაკბეტი,“ „რიჩარდ მესამე,“ „იულიუს კეისარი,“ „ანტონიუსი და კლეოპატრა,“ „კორიორანოსი.“ ამ თარგმანებით, ილიასთან ერთად, ვანო ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფუძემდებლად მოგვევლინა.**

ქართველ „სამოციანელთა“ ღირსეული წარმომადგენელი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილე ივანე გიორგის ძე მაჩაბელი დაიბადა 1854 წლის 8 თებერვალს, ამჟამად რუსეთის მიერ ოკუპირებულ ქართლის ერთ-ერთ თვალწარმტაც სოფელ თამარაშენში, იმ დროისათვის საკმაოდ გაღარიბებული ძველი ფეოდალის ოჯახში. ეს ის თამარაშენია, თამარ მეფემ მე-12 საუკუნეში რომ დააარსა და მის საზაფხულო რეზიდენციად ითვლებოდა. საგულისხმოა, რომ ვანოს პაპა სვიმონ მაჩაბელი საქართველოში 1832 წლის შეთქმულების მონაწილე იყო. მთის ნაჟურივით სუფთაა და კრიალოსანივითაა აწყობილი ლიახვდალეული ქართლელის ცხოვრებისეული გზა-სავალი. პირველდაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო. 1863 წლიდან თბილისის გიმნაზიაში აგრძელებს სწავლას. **მაშინ ქართული ენა იდევნებოდა, მაგრამ სახელოვანი მწერალი და პედაგოგი პეტრე უმიკაშვილი მოსწავლეებს ქართული კულტურის სიყვარულს უღვივებდა, მოზარდებს აგროვებინებდა ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, ავარჯიშებდა მხატვრულ თარგმანში. ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლისას, ვანოს თარგმანი ანტიკური ლიტერატურიდან, მხატვრულობით და ქართული ენის ღრმა ცოდნით გამოირჩეოდა.**

გიმნაზიის წარმატებით დამთავრების შემდეგ ნიჭიერმა ახალგაზრდამ სწავლის ფულს თვითონვე მოუყარა თავი და პეტერბურგში გაემგზავრა, სადაც ცოდნას ნევისპირა ქალაქის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ეუფლებოდა. იქ დაუახლოვდა პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდობას, საფუძვლიანად შეისწავლა ფრანგული, გერმანული, ინგლისური ენები. იქვე დაიწყო შექსპირის ნაწარმოების თარგმნა.

1874-1877 წლებში სწავლობდა ჯერ გერმანიის ჰოფენჰაიმის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში, მერე კი პარიზის სორბონის უნივერსიტეტში.

1879 წელს ივანე მაჩაბელი საქართველოში დაბრუნდა და ნაყოფიერ შემოქმედებით და საზოგადოებრივ მოღვაწეობას შეუდგა. ამავე წლიდან ქართულ პრესაში იბეჭდებოდა მისი ლექსები, კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები და თარგმანები.

ილია ჭავჭავაძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ივანე მაჩაბელთან. დიდი თერგდალეული მას არაერთხელ სტუმრობდა მშობლიურ თამარაშენში. **„ერის მამას“ თამარაშნელები აღფრთოვანებით ეგებებოდნენ. „ხალხის გულწრფელი სიხარულითა და ბუნების უზადო სინატიფით მოჯადოებული ილია გადაეხვია ზაალ მაჩაბელს და ესღა აღმოხდა: „ეს ბუნება უნიჭოს ნიჭს შესძენს და უხმოს აამღერებსო.“**

როგორც ცნობილია, ივანე მაჩაბელი ილია ჭავჭავაძემ პეტერბურგში ყოფნისას გაიცნო. ეს იყო 1873 წელი, როცა ილია ბანკის საორგანიზაციო საქმეების გამო იმყოფებოდა ამ ქალაქში. ვინაიდან მას წესდებას არ უმტკიცებდნენ, იგი დიდხანს დარჩა იქ და იპოვა თავისუფალი დრო „მეფე ლირის“ თარგმანისთვის.

ამრიგად, როგორც კი საშუალება მიეცა ილიას, უმალ შეუდგა „მეფე ლირის“ თარგმნას, თან ინგლისურს სწავლობდა. როგორც ზემოთ ითქვა, ამ დროს გაიცნო ახალგაზრდა სტუდენტი ივანე მაჩაბელი. იოსებ გრიშაშვილი აღნიშნავს, რომ **„ივანე მაჩაბელს, როგორც ინგლისურის მცოდნეს, უეჭველია დიდი დახმარების გაწევა შეეძლო ილიასათვის. მათ შორის გაიბა თანამშრომლობის ძაფი და „მეფე ლირი“ საბოლოოდ გადაითარგმნა ორივეს საერთო ძალ-ღონით...“**

არისტო ქუთათელაძე კი გვაწვდის ცნობას იმის შესახებ, თუ როგორი ენთუზიაზმით შეუდგნენ „მეფე ლირის“ თარგმნას ილია და ივანე მაჩაბელი. ერთ მხარეს ილია მჯდარა, მეორე მხარეს – ივანე. ივანე წერდა – ილია ჰკარნახობდა. როცა რომელიმე ადგილის თარგმნა გაუძნელდებოდა, ილია წამოდგებოდა და მივიდოდა ფანჯარასთან, რომელიც ფარდით იყო ჩამობნელებული. იქ შუბლს მოისრესდა და შესაფერისი სიტყვით გახარებული, მიმართავდა ივანეს: „დასწერე!..“

ვალერიან გუნიას სიტყვით, როცა ერთხელ მსახიობმა ლირში სიტყვები დაამახინჯა, მაჩაბელს უთქვამს: **„როგორ შეიძლება ერთი წიხლით ძირს დაანთხიო ილაჯგასაწყვეტი და სათუთი შრომა კაცისა, მერე რა დიდი კაცისა – ილია ჭავჭავაძის თარგმანი, რომელსაც მთელი ქართველობა გულის ფანცქალით მოელოდაო.“**

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში შექსპირი ადრეც ითარგმნა, ილიასა და ივანე მაჩაბლის თარგმანს ვერც ერთი ვერ შეედრებოდა. 1874 წლის 8 მარტს „დროება“ წერდა: „უფ. ილია ჭავჭავაძეს და ივანე მაჩაბელს“ გაუთავებიათ „მეფე ლირის“ თარგმანი. ამ ტრაგედიის პირველი მოქმედება დაბეჭდილია „კრებულის“ მეათე წიგნში და როცა დანარჩენი მოქმედებებიც დაიბეჭდება, ქართული ლიტერატურა ერთს მშვენივრად ნათარგმნს ძვირფას თხზულებას შეიძენს.“

ილიას დამოკიდებულება მაჩაბლისადმი ჩანს ვასილ მაჩაბლისადმი მიწერილ წერილებში. ერთგან იგი წერს: **„საყვარელო ძმაო ვასო! მოგართვი შენგან დაბარებული „ივერია.“ აბა შენ იცი, როგორ დაგეხმარება. იწერები, ვანოს უნდა გავუგზავნოო. თუ გიყვარდე, იმის ადრესი მომწერე და მე თვითონ გავუგზავნი პირდაპირ რედაქციის მხრით.**

**ვანოს წიგნების შესახებ იწერები. ვიდრე შენ ამას მოიწერებოდი, ჩვენმა ავალოვმა დიდი ქება მითხრა მაგ წიგნებისა. რა კარგი იქნება, რომ ეგ წიგნები დამაბეჭდვინო, თუ შესაძლებელია და თუ ვანო ნებას მოგცემს. მისწერე შენად და ჩემად მოგვეშველოს როგორმე. ჭკვიანი ბიჭი და ამასთანავე, კარგი კალმის პატრონი – ჩვენთვის ვანო დიდი ნუგეში იქნება. ჰსთხოვე და არამც თუ ჰსთხოვე, შეეხვეწე ჩემს მაგიერ, რომ სტატიები გამოგვიგზავნოს.** „მეფე ლირი“ დავბეჭდეთ. გამოგიგზავნი ამ დღეებში. ვანოს ადრესს რომ მივიღებ, იმასაც გავუგზავნი“ (ვანო მაჩაბელი იმჟამად საფრანგეთში იმყოფებოდა).

მართლაც საამაყოა ივანე მაჩაბლის ღვაწლი ქართული ჟურნალისტიკისა და პუბლიცისტიკის ისტორიაში. **„ილია თავიდანვე დიდ იმედებს ამყარებდა ვანო მაჩაბელზე, რაც ნათლად ჩანს მის მიერ ვანოს ძმასთან, ვასოსთან მიწერილ ბარათში. აკი თანარედაქტორად მიიწვია კიდეც 1881 წელს (სერგეი მესხის ნაცვლად).**

1880 წელს „დროებისა“ და „ივერიის“ რედაქციების შეერთების შემდეგ ივ. მაჩაბელი სათავეში ჩაუდგა ბიბლიოგრაფიის განყოფილებას. იგი თავიდანვე ენერგიულად იღებს ახალი განყოფილების მართვის სადავეებს.

დაუცხრომელი პუბლიცისტისა და კრიტიკოსის იპოლიტე ვართაგავას თქმით, ვანოს ქართული ენა უაღრესად მდიდარი, ზუსტი, დახვეწილი და მხატვრულია. ამიტომაც შემთხვევითი არ იყო, რომ **1883 წლის 8 მაისს, მძიმე ავადმყოფობის გამო, სერგეი მესხმა „დროების“ ხელმძღვანელობა ივანე მაჩაბელს გადააბარა. იგი გაზეთს 1885 წლამდე რედაქტორობდა. „მართალია, ივ. მაჩაბელი დიდხანს არ ყოფილა ქართული გაზეთის რედაქტორად, მხოლოდ ორი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა „დროებას,“ მაგრამ, მიუხედავად ამისა, ივ. მაჩაბლის ეს ხანმოკლე მოღვაწეობაც მოწმობს, რომ ის მე-19 საუკუნის საზოგადო მოღვაწეთა შორის თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენდა.“**

თამარაშნელი გენიოსის შემოქმედება პოეტ იოსებ გრიშაშვილის ყურადღების ცენტრშია. იგი გაოცებულია ვანოს ნამუშევრებით და აღფრთოვანებული დასძენს: „შესანიშნავი მონოლოგია, შესანიშნავი თარგმანი! ხანდახან გაოცებას ეძლევი ხოლმე: საიდან ჩამოვარდა ეს კაცი? რომელ გრიგალს გადმოჰყვა, ვინ ჩააგონა ენის საიდუმლოება და ქართული სიტყვის შეგრძნების ძალა?“ იქვე იმასაც მიუთითებს, რომ **„მე-19 საუკუნის დიდი მოღვაწე ივანე მაჩაბელი ახალი ქართული ენის ერთ-ერთი ფუძემდებელია, იმ ახალი ქართულისა, რომელსაც ჩვენი ძველები ბუნებრივ, „სასაუბრო ენას“ უწოდებდნენ.**

„სულიკო,“ „ორეული“ და სხვა აუარებელი ახალი, მანამდე უცნობი სიტყვა, რომელთა შესწავლაზე ამჟამად ვმუშაობ, განა პირველად ივანე მაჩაბელმა არ შემოიტანა ჩვენს ლიტერატურაში?.. **მაჩაბელს ქართული ენის ბუნების განსაცვიფრებელი ალღო ჰქონდა, მან იცოდა სინონიმების იშვიათი მოძებნა და თავთავის ალაგას მოთავსება, ახასიათებდა სათარგმნელ ტექსტში ჩაწვდომის უნარი. მშვენივრად თქვა ივანე მაჩაბელზე სახალხო პოეტმა იოსებ დავითაშვილმა: „ქართული ენა გაჩარხა ნაჯიჯგნი სხვა და სხვისაო.“**

სამაჩაბლოელი გენიოსი შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის გამოცემის (1888 წ.) რედაქტორი იყო. ამასთან, დიდი დახმარება გაუწია „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრატორს, უნგრელ მხატვარს მ. ზიჩის, აგრეთვე მარჯორი უორდროპსა და სხვა უცხოელ მთარგმნელებს.

საქართველოს დიდი მეგობარი ოლივერ უორდროპი აღტაცებული წერდა: **„ივ. მაჩაბელი, მართალია, 30 წლისაა მხოლოდ, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძის შემდეგ ერთადერთია, რომელსაც უდიდესი გავლენა აქვს თავის თანამემამულეებში.“**

1898 წლის 26 ივნისს, გამთენიისას, სახლიდან გავიდა და შინ აღარ დაბრუნებულა! ცხინვალელი „დედით და მამით ქართველი“ პოეტი შოთა დარბუაშვილი, საუკუნეზე მეტი ხნის წინათ უგზო-უკვლოდ გაუჩინარებული თანამემამულის შესახებ მწარედ დასძენს:

**„გადაიჩეხა მტკვარში ჭადარი,<br>წყალმა წაიღო, წამმა სულ ერთმა,<br>და ჩაესვენა მზე, გაფატრული,<br>ერთი ცხოვრება, ვით მოჩვენება!“**

ვანომ სულ რაღაც 44 წელი იცოცხლა, მაგრამ ამ მოკლე დროში უამრავი რამ მოასწრო. მისმა ტრაგიკულმა გაუჩინარებამ ქართველი ერი და ბერი საგონებელში ჩააგდო. მაშინ, რაღას არ მიაწერდნენ მის დაკარგვას: „ახლობელ წარჩინებულთან შელაპარაკება მოსვლია, მას მოუკლავს და მდინარეში გადაუგდიაო; თურმე მტრებს მკვლელი დაუქირავებიათ, „ძლიერსა ამა ქვეყნისას“ კი უზრუნია, რომ ცხედარი აღარასოდეს გამოჩენილიყო...“ ვარაუდი სხვაც ბევრი იყო, სინამდვილეში კი, კონკრეტული ვერაფერი დაადგინეს მკვლელობისა თუ თვითმკვლელობის შესახებ.

ამ სწორუპოვარი ადამიანის გაუჩინარების ფაქტი დღემდე იდუმალებითაა მოცული. ესეც ხომ მრავალტანჯული საქართველოს კიდევ ერთი მოუშუშებელი იარა და ბედისწერაა!

**როზერტ ოდიკაძე,**
**რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი.**

# ფილოსოფოსის ახალი წიგნი

**გამოიცა ალექსეი ლოსევის ნაშრომი „პლატონური აკადემია ფლორენციაში“, რომელიც თარგმნილია მისივე წიგნიდან „აღორძინების ესთეტიკა“ (მოსკოვი, 1998). თარგმანი შეასრულა ვიქტორ რცხილაძემ, რომელიც მას ასეთ შესავალს უკეთებს:**




„დიდი რუსი ფილოსოფოსის ალექსეი ლოსევის „პლატონური აკადემია ფლორენციაში“, შეიძლება ითქვას, საგანგებოდ შევარჩიე, რადგან ლოსევის გამოთქმით, ამ აკადემიის გაფურჩქვნა ისეთ პერიოდს ემთხვევა, როდესაც ფლორენციის ისტორიაში ხდება „პაცის შეთქმულება (1478 წ.), შემდეგ სოციალური და რელიგიური მღელვარება, 1494 წელს რევოლუცია, სავონაროლას დაღუპვა“.

„ეს დიდ პარალელს პოულობს საქართველოს უახლოეს ისტორიაში“, – წერს ვიქტორ რცხილაძე, „დღევანდელი დღის ჩათვლით. დაე, ამ პირქუში ვითარების ფონზე, მკითხველმა გარკვეული შვება პოვოს ა. ლოსევის ამ ნაშრომში“.

წიგნის მეორე ნაწილი ეთმობა ვ. რცხილაძის „ფილოსოფიურ წერილებს“, რომელიც დიდი ინტერესით იკითხება. მათგან განსხვავებულია ავტორის მიერ ალბომი „კოლექციის“ განხილვა, რომელსაც იგი ასე იწყებს:

„თბილისში 2011 წელს გამოიცა ალბომი, სახელწოდებით „კოლექცია“. მასში შეკრებილია კერძო პირების მფლობელობაში მქონე მშვენიერი სურათები ქართველი და საქართველოში მოღვაწე მხატვრებისა. კატალოგზე მუშაობდნენ ქალბატონები: სოფიო ჩიქოვანი, რუსუდან ჩერგოლეიშვილი და გაია წიქორიძე – მადლობა მათ!“

სერიოზული ლიტერატურის მოყვარულებს ეს წიგნი დიდ სიამოვნებას მიანიჭებს.

# გომბორის გზის რეაბილიტაცია შემოდგომაზე დასრულდება

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი კახეთში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ვაზიანი-გომბორი-თელავის საავტომობილო გზის 33.6 კმ-იანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებს აქტიურად აგრძელებს.**

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, დასრულებულია ხელოვნური ნაგებობების ძირითადი ნაწილის და 26 კმ-ზე საგზაო სამოსის მოწყობის სამუშაოები. აქტიურად გრძელდება ასფალტის დაგება, დასრულების ეტაპზეა 35 მეწყრული უბნების პრევენციის სამუშაოები, საიდანაც დარჩენილია მხოლოდ 3 მეწყრული მონაკვეთი.

გომბორის გზა მოძრაობის მაღალი ინტენსივობით გამოირჩევა. ამ გზით სარგებლობს როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ისე ადგილობრივი და საერთაშორისო ტურისტები. გზის დაზიანებული, დამეწყრილი და დეფორმირებული ადგილები მოძრაობის უსაფრთხოებასა და კომფორტულ გადაადგილებას ვეღარ უზრუნველყოფდა, რის გამოც დაიგეგმა გზის რეაბილიტაციის პროექტი.

პროექტის შესაბამისად, გათვალისწინებულია გზის სავალი ნაწილის სრული რეაბილიტაცია, ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება, 6 ხიდის რეაბილიტაცია, ახალი წყალგამტარი მილებისა და რკინაბეტონის ქვედა და ზედა საყრდენი კედლის მოწყობა. ასევე, გატარდება მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები, შეკეთდება ტროტუარი, მოეწყობა მოსახლეობის ეზოებში შესასვლელები, ავტობუსის გასაჩერებელი მოედანი და ავტოპავილიონი, ჩატარდება საგზაო ნიშნების მოწყობისა და გზის ჰორიზონტალური მონიშვნის სამუშაოები.

პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 66 700 000 ლარით ფინანსდება. სამუშაოების დასრულება 2024 წლის შემოდგომაზე იგეგმება.



# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ანასტასია ივანიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ანასტასია ივანიძე (პ/ნ 01034001078), თბილისი, ზაქარია ვეშაპურის ქ. №9/12; თბილისი, ქურდიანის (ზაქრაძის) ქუჩა №15

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
თბილისი, ქურდიანის (ზაქრაძის) ქუჩა №15 (საკადასტრო კოდი: 01.16.02.024.031)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 44000.35 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 23 აგვისტო, 12:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 6 სექტემბერი, 14:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP101444724;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 1014447

**6. მოვალე:** ანასტასია ივანიძე (პ/ნ 01034001078), თბილისი, ზაქარია ვეშაპურის ქ. №9/12; თბილისი, ქურდიანის (ზაქრაძის) ქუჩა №15

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP101444724; ლოტის ნომერი: 1014447).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 6 სექტემბრის 12:00 საათამდე.

# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გულო შავდათუაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გულო შავდათუაშვილი (პ/ნ 59001051108), გორი, ცხინვალის გზატკ. ორპ. 21ა, სართული 5, ბინა 30

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
გორი, ცხინვალის გზატკ. ორპ. 21ა, სართული 5, ბინა 30 (საკადასტრო კოდი: 66.45.07.282.01.030)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 34574.49 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 23 აგვისტო, 12:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 6 სექტემბერი, 15:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP101445124;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 1014451

**6. მოვალე:** ნინო ბადრიაშვილი (პ/ნ 59001050380), გორი, ცხინვალის გზატკ. ორპ. 21ა, სართული 5, ბინა 30

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP101445124; ლოტის ნომერი: 1014451).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 6 სექტემბრის 12:00 საათამდე.

# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გიორგი მამუჩარაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გიორგი მამუჩარაშვილი (პ/ნ 08001007623), ახმეტა, ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩა 122

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ახმეტა, ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩა 122 (საკადასტრო კოდი: 50.11.37.026)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 28762.90 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 23 აგვისტო, 12:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 6 სექტემბერი, 14:30 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP101444924;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 1014449

**6. მოვალე:** გიორგი მამუჩარაშვილი (პ/ნ 08001007623), ახმეტა, ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩა 122

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP101444924; ლოტის ნომერი: 1014449).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 6 სექტემბრის 12:00 საათამდე.

# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ელხან ალიევის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ელხან ალიევი (პ/ნ 28001012470), მარნეული, ს. პირველი ქესალო, მე-14 ქუჩა №5

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
მარნეული, ს. პირველი ქესალო, მე-14 ქუჩა №5 (საკადასტრო კოდი: 83.06.14.007)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 48496.51 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 23 აგვისტო, 12:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 6 სექტემბერი, 14:15 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP101444824;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 1014448

**6. მოვალე:** ელხან ალიევი (პ/ნ 28001012470), მარნეული, ს. პირველი ქესალო, მე-14 ქუჩა №5

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP101444824; ლოტის ნომერი: 1014448).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 6 სექტემბრის 12:00 საათამდე.

# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ამბერკი გრიგალაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ამბერკი გრიგალაშვილი (პ/ნ 57001030837), ხაშური, ბაქოს ქ. №52

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ხაშური, ბაქოს ქ. №52 (საკადასტრო კოდი: 69.03.60.728)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 30621.20 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 23 აგვისტო, 12:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 6 სექტემბერი, 14:45 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP101445024;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 1014450

**6. მოვალე:** ამბერკი გრიგალაშვილი (პ/ნ 57001030837), ხაშური, ბაქოს ქ. №52

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP101445024; ლოტის ნომერი: 1014450).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 6 სექტემბრის 12:00 საათამდე.

# განცხადება

## საჯარო განხილვის შესახებ

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - **სსდ საავტომობილო გზების დეპარტამენტის ნატახტარი (წიწამური)-რუსთავის მონაკვეთის ავჭალააეროპორტის უბნის (ლოტი N3) მშენებლობა-ექსპლუატაციის პროექტი**

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 10 სექტემბერი, 11:00 საათი, პატარა ლილოს საჯარო სკოლის შენობა (მის.: ქ. თბილისი, პატარა ლილო, თამარ მეფის ქუჩა N12), 2024 წლის 10 სექტემბერი, 14:30 საათი, გლდანის რაიონის გამგეობის შენობა (მის.: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის N1 გ), 2024 წლის 10 სექტემბერი, 17:00 საათი, სოფ. გლდანი, კულა გლდანელის საჭიდაო დარბაზის შენობა (მის.: ქ. თბილისი, სოფ. გლდანი, თიანეთის გზატკეცილი)**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, გაუგზავნოთ **სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 16 სექტემბრის ჩათვლით მისამართზე:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 16 აგვისტო.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს დასკვნას.

# განცხადება

## საჯარო განხილვის შესახებ

გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა - **კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. ქებაანში შპს „ევრობეტონის“ მიერ თევზის მოშენების მიზნით წყლის შესაკავებელი ნაგებობის (აკვაკულტურის მეურნეობის) მოწყობა და ექსპლუატაცია**

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 2 ოქტომბერი, 13:00 საათი, კასპის მუნიციპალიტეტის მერია.** საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 21 ოქტომბრის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 16 აგვისტო.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

# განცხადება

## საჯარო განხილვის შესახებ

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - **სსდ საავტომობილო გზების დეპარტამენტის ნატახტარი (წიწამური)-რუსთავის მონაკვეთის აეროპორტილოჭინის უბნის (ლოტი N4) მშენებლობა-ექსპლუატაციის პროექტი**

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 13 სექტემბერი, 12:00 საათი, სსიპ ქ. თბილისის N217 საჯარო სკოლა (მის.: თბილისი, დიდი ლილო, არჩილ მეფის ქ. 5), 2024 წლის 13 სექტემბერი, 15:00 საათი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. გამარჯვების ადმინისტრაციული ერთეულის შენობა**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, გაუგზავნოთ **სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 16 სექტემბრის ჩათვლით მისამართზე:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 16 აგვისტო.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს დასკვნას.

◉ ტრიუმფი

# მოლდოვიდან – პარიზისკენ...

**ხვალ პარიზში იწყება ზაფხულის მე-17 პარალიმპიური თამაშები, სადაც საქართველო სპორტის 6 სახეობაში სარეკორდო – 14 პარაათლეტით იქნება წარმოდგენილი, ჯვაროსანთა დელეგაციის მედროშე კი აკაკი ჯინჭარაძე იქნება.**

საფრანგეთში გამგზავრებამდე შესანიშნავი განწყობა შეგვიქმნეს ჩვენმა პარამკლავჭიდელებმა, რომლებიც მოლდოვაში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატიდან სამშობლოში 71(!) მედლით დაბრუნდნენ – 30 ოქრო, 22 ვერცხლი და 19 ბრინჯაო, ბუნებრივია, გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებით.

აღსანიშნავია, რომ პარტნიორებს ღირსეულად აუბეს მხარი გოგონათა ნაკრების წევრებმა და მე-3 ადგილი დაიკავეს.



რაც შეეხება დამდეგ ფორუმს, სენის ნაპირებზე იასპარეზებენ:

**ეტლით ფარიკაობა** – ირმა ხეცურიანი, ნინა თიბილაშვილი.

**პარამძლეოსნობა** – გიორგი ოჩხიკიძე (ბირთვის კვრა), დავით ქავთარაძე (სიგრძეზე ხტომა).

**ტაეკვონდო** – ანა ჯაფარიძე (54 კგ), ლია ჩაჩიბაია (47 კგ), გიორგი ნიკოლაძე (70 კგ).

**პარასროლა** – ვლადიმერ ჭინჭარაული (შაშხანით სროლა 10 და 50 მეტრზე).

**პარაძიუდო** – ზურაბ ზურაბიანი (60 კგ), გიორგი ქალდანი (73 კგ), ინა ქალდანი (70 კგ), ლაშა ყიზილაშვილი (90 კგ), რევაზ ჩიკოიძე (+90 კგ).

**პარაჭიდაობა** – აკაკი ჯინჭარაძე (107 კგ).

და ბოლოს: როცა პარა-სპორტის მოახლოებულ ზეიმზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა გავამახვილოთ ყურადღება მისი პოტენციური ლაურეატების მიმართ სახელმწიფოს მიერ გამოჩენილ ზრუნვაზე, რაც, ამასწინანდელი პარიზის ოლიმპიადის რჩეულთა მსგავსად, წამახალისებელი სამთავრობო ფულადი ჯილდოს დაწესებაში გამოიხატა: გამარჯვებულს – მილიონი ლარი, ვიცე-ჩემპიონს – ნახევარი მილიონი ლარი და ბრინჯაოს პრიზიორს – 250 000 ლარი.

◉ კომპეტენტური აზრი

# წყალი ჩვენი გართობისა

**მართალია, ზაფხული თავდება, მაგრამ რადგან წინ ხავერდოვანი სეზონის არანაკლებ ცხელი დღეებია, საწყლოსნო თავგადასავლები, ალბათ, კიდევ უხვად გველის.**

მაშინ, როცა თითქმის ყოველდღიურად ვიგებთ საკურორტო ტრაგედიების შესახებ, პრევენციის მიზნით აქტუალურად გვესახება პროფესიონალთან გასაუბრება.



მაშ ასე, დღეს ჩვენი სპორტული გვერდის სტუმარია ცურვისა და წყალბურთის კლუბ იმედის მწვრთნელი **დავით ხავთასი.**

– უპირველესად, ანაბანასი არ იყოს, უნდა იცოდეთ ზურგზე წოლა და წყალზე გაჩერება. ეს თანაბრად ეხება როგორც ზღვას, ისე ტბასა და მდინარეს. უფრო კონკრეტულად – თუ ფეხი არ წვდება ფსკერს, არ უნდა გარისკოთ და ღრმა წყალში არ უნდა შეხვიდეთ.

ბუნებრივია, ზღვებსა და აუზებზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამაშველო სამსახურს, რაც თავისთავად გულისხმობს მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად სპეციალისტთა კომპეტენტური რჩევების გათვალისწინებას.

რაც შეეხება კონკრეტულ შემთხვევებს, მე, როგორც ბავშვთა მწვრთნელს, გული გამორჩეულად მომავალი თაობის უსაფრთხოებაზე შემტკივა და ძალიან მსურს, რომ ზაფხულის სეზონის სავალალო სტატისტიკის თავიდან ასარიდებლად მშობლებმა ცურვის შესასწავლად თავიანთი შვილები პროფესიონალებთან ატარონ.

◉ ტკივილით თქმული



# ზაზა დოლიძის არდავიწყება

**რომ შეხედავდი, ირწმუნებდი, რომ ჯანსაღ სხეულში მართლაც ჯანსაღი სულია.**

წყალბურთზე დადიოდა და ვიცოდი, რომ დევი გვახარია მისი თანაგუნდელი იყო, მაგრამ ჩემთვის **ზაზა დოლიძე** უპირველესად ოჯახისა და გვარის ღირსეული შვილი გახლდათ, რომელსაც ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი მოყვასის ბოლომდე გატანა.

იგი უხმოდ აკეთებდა საკეთებელს და თითქოს უსიტყვოდ ამბობდა სათქმელს, მაგრამ გამძვინვარება და აწეული ტონიც მახსოვს, როცა სისხლისა და ხორცის დაცვა უწევდა.

ქალაქში სამართლიანობით ცნობილ სამთა ძმათა – მანგიურ, აკაკი და მირიან დოლიძეების – შთამომავალი სხვანაირი ვერც იქნებოდა.

კიდევ, პასუხისმგებლობის განსაკუთრებული გრძნობა გამოარჩევდა. თსუ-ს წარჩინებულ კურსდამთავრებულს, ჯერაც სრულიად ახალგაზრდას, დედაქალაქის წამყვან უნივერმაღ „თბილისში" დასაქმებით გამოუცხადეს ნდობა, ხოლო მოგვიანებით ქვეყნის განათლების სამინისტროში მოღვაწეობას შეალია წლები.

როგორც აღმოჩნდა – ჯანმრთელობაც. დიახ, ვერაფრით წარმოვიდგენდით, რომ სალი კლდის სადარი ვაჟკაცი ასე უეცრად გამოგვეცლებოდა ხელიდან.

სხვათა შორის, შარშან მარიამობის დღესასწაულზე, როგორც სჩვეოდა, ისე ჩუმად განერიდა საწუთროს. ამჯერადაც სხვებზე იზრუნა და არავინ შეუწუხებია.

სიცოცხლე გრძელდება. ჩვენო ზაზა – შენი საფიცარი აკაკი სპორტის ერთგულია და რაგბიში ოსტატდება. ვიმედოვნებთ, ბორჯღალოსანთა კვართსაც მოირგებს.

უფალს ებარებოდე, ჯიგარო!

◉ დასიცხულნი

# რისხვის მოლოდინში

**29 აგვისტოს ბათუმში სამარცხვინო ოპოზიციის სამარცხვინო ბოძზე გაკვრის საზაფხულო სერიის დასკვნითი რაუნდი იწყება, სადაც საკონსტიტუციო სასამართლომ ბეჭებზე უნდა გააკრას „რუსული კანონის" გაწვევის ან შეჩერების მოსურნე საკონსტიტუციო სივრციდან გასული პრეზიდენტი, ანტისამთავრობო სექტორი და ვაიმედია. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ასეც იქნება, რადგან გამჭვირვალობა უალტერნატივოა.**

საარჩევნო კამპანიის აქტიური პროცესის იმიტაცია რომ შეექმნა, უცხოეთის აგენტურამ სულ წანწალწანწალით მოიარა დასავლეთ საქართველოს რეგიონები, სადაც ძლივს შეკოწიწებული რამდენიმე ათეული მომხრის თანდასწრებით დამკვრელურ ტემპებში მოასწრო



**რომელია გამდიდრების მანიით შეპყრობილი თანამედროვე ფეოდალი — ტატამის დიდოსტატი ვარლამ ლიპარტელიანი, სახელოვანი ბორჯღალოსანი დავით კაჭარავა, წყალბურთელთა საამაყო დინასტიის ღირსეული წარმომადგენელი ზურაბ რურუა თუ სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტი აკაკი ალადაშვილი?**

ჯერაც მცხუნვარე მზისგან შესაფარებელი და დაბოღმილ გულზე საჭორაოდ ზედგამოჭრილი ოფისების გახსნა, 3 დღეში კი ზღვისპირეთში ხსენებულ სხდომაზე მოიყრის თავს.



ისე, რომ ჰკითხო, სასამართლო კლანის ერთგულ მსახურთა მომავალი განაჩენი წინასწარვეა ცნობილი და სასწაულის იმედი არცა აქვთ, მაგრამ საკურორტო სეზონზე აჭარაში ჩასეირნებასა და ტელეკამერებთან ყელყელაობას რა სჯობს? ჰოდა, იმ პოპულარული ესპანური ფილმისა არ იყოს, დაე ილაპარაკონ – მე თქვენ გეტყვით, ტვინის ქერქის ატროფია დაემართებათ თუ საინფორმაციო ღრუ დაეხშობათ.

სხვათა შორის, ენას რომ ძვალი არა აქვს, მცხეთაში გამართულმა „ქართული ოცნების" სასტარტო შეკრებამაც დაადასტურა, რომლის დასრულების შემდეგაც მიშმადიდებელთა კანტორამ ერთი ამბავი ატეხა – ტყვიაგაუმტარ აკვარიუმში შეყუჟული ოლიგარქი არამარტო ხალხს, არამედ საკუთარ მთავრობის წევრებსაც კი ემალებაო. ეტყობა, დემენცია ისეთი რამაა, სწრაფად გადმოკვეთა ოკეანე და ბაიდენისგან ესტაფეტასავით გადმოეცათ მტკვრისპირელ სოროსელებს, რომლებსაც უკვე დაავიწყდათ ტრამპსა თუ ფიცოზე განხორციელებული ტერაქტები.



და ბოლოს: გემახსოვრებათ, ამას წინათ როგორი კრიახი მოჰყვა ოპონენტთაგან მმართველი პარტიის მიერ რაიონებში მომავალი პარლამენტის დელეგატთა დასახელებას – ისინი კლასიკური ადგილობრივი ფეოდალები იქნებიან და წურბელა მაჟორიტარ დეპუტატებს ჩაანაცვლებენო.

და აი, ამ დღეებში პრემიერმა კობახიძემ საზოგადოებას დედაქალაქის რჩეულთა ვინაობაც წარუდგინა, საიდანაც ზუსტად ნახევარი სპორტული სამყაროს თვალსაჩინო წარმომადგენელია.

ვეკითხები ურწმუნო თომებს:



რომელია გამდიდრების მანიით შეპყრობილი თანამედროვე ფეოდალი – ტატამის დიდოსტატი ვარლამ ლიპარტელიანი, სახელოვანი ბორჯღალოსანი დავით კაჭარავა, წყალბურთელთა საამაყო დინასტიის ღირსეული წარმომადგენელი ზურაბ რურუა თუ სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტი აკაკი ალადაშვილი? აზრზე მოდით, ბნელეთო!

**გია პლატონიშვილი**

# 1924 წლის აჯანყებიდან ერთი საუკუნე გასულა

**27 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში ამ თარიღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართება.**

ეროვნული ბიბლიოთეკის ინფორმაციით, ღონისძიებაზე წარმოდგენილი იქნება ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული ექსკლუზიური მასალების გამოფენა.

„გაიმართება 1924 წლის აჯანყებიდან ასი წლისთავისადმი მიძღვნილი გამოცემის პრეზენტაცია. წიგნი ეროვნულმა ბიბლიოთეკამ შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივთან თანამშრომლობით გამოსცა.

ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში 1924 წლის აჯანყების შესახებ არაერთი საინტერესო ფოტო და დოკუმენტური მასალაა დაცული, რომლებიც ამ თარიღისადმი მიძღვნილ გამოცემაშია თავმოყრილი. წიგნში ასევე შევიდა აჯანყებასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების მიხედვით მომზადებული პუბლიკაციები.

საბჭოთა საოკუპაციო სისტემამ 1924 წლის აჯანყება სისხლში ჩაახშო. მას ასობით ადამიანი შეეწირა, ზოგი – ციხის, ზოგი კი




გადასახლების გზას გაუყენა. მიუხედავად მარცხისა, ქართველმა ერმა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის საუკეთესო მაგალითი აჩვენა. ამდენად, ამ თარიღს განსაკუთრებული მნიშვნელობა და დატვირთვა აქვს ჩვენი ქვეყნის ისტორიისთვის“, – ნათქვამია ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# GITA-ს ინოვაციური ბანაკი სკოლის მოსწავლეებს მასპინძლობდა

**საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარემ ავთანდილ კასრაძემ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში, სკოლის მოსწავლეებისთვის განკუთვნილი ინოვაციური ბანაკი დახურა. წელს STEAM ბანაკში მონაწილეობის სურვილი 3000-ზე მეტმა აპლიკანტმა გამოთქვა. ბანაკმა საქართველოს ყველა რეგიონის სკოლებიდან 100 შერჩეულ მოსწავლეს უმასპინძლა.**

მონაწილეებს პროექტის განმავლობაში მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიის, ხელოვნებისა და მათემატიკის მიმართულებით არაერთი საინტერესო ტრენინგი თუ ვორქშოფი ჩაუტარდათ. პრაქტიკული მეცადინეობების გარდა, ბანაკის ფარგლებში, მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მოესმინათ მოწვეული სპიკერებისათვის და ჩართულიყვნენ გასართობ/გუნდურ თამაშებსა და სპორტულ აქტივობებში. ერთი კვირის განმავლობაში მოსწავლეები ეცნობოდნენ რობოტიკას, კიბერუსაფრთხოებას, პროგრამირებისა და ასტროფიზიკის საწყისებს, რაც თითოეულ მათგანს დაეხმარება სამომავლოდ კარიერული ცხოვრების უკეთ დაგეგმვასა და გამოცდილებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღებაში.

შემაჯამებელ ღონისძიებაზე GITA–ს თავმჯდომარემ მონაწილეებს სიტყვით მიმართა და სერტიფიკატები გადასცა.





# მცირე ბიბლიოთეკა და სამკითხველო – თუშეთში

**საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი კონსტანტინე გამსახურდია და ეროვნული ბიბლიოთეკის კარტოგრაფიის განყოფილების უფროსი ბექა ღაჟონია თუშეთს ესტუმრნენ. ეროვნული ბიბლიოთეკის ინფორმაციით, ისინი ვიზიტორთა ცენტრის ხელმძღვანელს, ვიზიტორთა მომსახურების სპეციალისტ გიორგი ბაკურაძეს შეხვდნენ და ვიზიტორთა ცენტრში მცირე ბიბლიოთეკა და სამკითხველო გახსნეს.**

ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენლებმა სოფელ ილიურთას ტაძარში დაცული უნიკალური მასალები გააციფრეს.

სოფლის თემთან მოლაპარაკების შედეგად ეროვნული ბიბლიოთეკის რესტავრაციის ლაბორატორია განაახლებს დაბადებისა და ქორწინების წიგნს და სოფელს დაუბრუნებს.

## გვეხმაურებიან




## პოლიტიკური ნააზრევის შედევრი

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მუდმივი მკითხველი ვარ (და არა მხოლოდ მკითხველი...), მადლობა ამ გაზეთს, რომ ის უცვლელად დგას მშობლიური ქვეყნის ინტერესების სადარაჯოზე... გაზეთის და ხალხის 22 აგვისტოს ნომერში ნამდვილად გამახარა ჩემთვის უცნობი პოეტის დუდუნ თურქაძის პოეტურმა შედევრმა, რუბრიკით – „სიტყვა მიზანში“ – „სად არის მსოფლიო?“, რომელიც ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის მასობრივად გავრცელების პრობლემას ეხება, რაც კაცობრიობისათვის მხოლოდ დამღუპველია და მეტი არაფერი...**

**ლექსის გარჩევას ამჯერად არ შევუდგები – მოვიყვან ორიოდე სტროფს:**

**(1). „ დრო ითხოვს, შეიქმნას ზეკაცობრიობა – არც დედა როა! არც მამა როა!“ (2) „მსოფლიო ჭურშია, მსოფლიო რულშია, მსოფლიო ფულში ზის, ფულების თვლაშია!“...**

**საკმარისია, არა! დიახაც, ყველას, ვისაც თავის სამშობლოზე, ტრადიციებსა და სხვა ფასეულობებზე გული შესტკივა, ვთხოვ, უსათუოდ გაეცნოს მას. უფრო მეტიც, ის უნდა ითარგმნოს მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ენებზე, რათა უდედმამო... გარყვნილ მსოფლიოზე ერთხმად უარი ვთქვათ...**

**რევაზ გოგოხია,**
**ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

# მარტვილში გზები შენდება!

**მარტვილის მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება აქტიურად მიმდინარეობს. ინფორმაციას მარტვილის მუნიციპალიტეტის მერია ავრცელებს.**

„ინჩხურის ადმინისტრაციულ ერთეულში ლებაჩე-ნალეფსაოს და კანიონის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის ასფალტო-ბეტონისა და ცემენტო-ბეტონის საფარით რეაბილიტაციის სამუშაოები დაიწყო.

მიმდინარე სამუშაოები სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ ლუდუკ ხასიამ და მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ალექსანდრე ხურცილავამ ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერეს.

პროექტის ფარგლებში საავტომობილო გზა რეაბილიტირდება ასფალტო ბეტონის და ცემენტო ბეტონის საფარით, ასევე მოეწყობა რკინაბეტონის კიუვეტები, ლითონის მილები ბეტონის სათავისებით და ეზოებში შესასვლელები.

პროექტის ღირებულება 953 333 ლარს შეადგენს. სამშენებლო სამუშაოებს შპს „მეკა“ ახორციელებს.

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსებით ხორციელდება“.



# ქედვის სარეაბილიტაციო ცენტრში მცხოვრები ბავშვები ქობულეთში დაისვენებენ

**საქართველოს პროკურატურის თანამშრომლების ხელშეწყობით, წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის მონასტერთან არსებული სარეაბილიტაციო ცენტრის თავშესაფარში მცხოვრები 24 ბავშვი, მშობლებთან ერთად, ქობულეთში, ზღვისპირა სასტუმროში დაისვენებს. ამის შესახებ ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.**

უწყების ცნობით, საქველმოქმედო ღონისძიებასთან დაკავშირებით, საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლები ქედვის სარეაბილიტაციო ცენტრს ესტუმრნენ და ბავშვებს ზღვზე დასასვენებლად საჭირო აქსესუარები გადასცეს.

„ქედვის თავშესაფრის დირექტორმა ნანა გოგოჭურმა პროკურატურის წარმომადგენლებს გაწეული დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პროკურატურის თანამშრომლების ხელშეწყობით, წლებია, ქედვის სარეაბილიტაციო ცენტრში მცხოვრებთათვის სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებები იმართება.



# ბახმარომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია დასრულდა

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა გურიაში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ჩოხატაურის ბახმაროსთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის 18 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია დაასრულა.**

აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას საავტომობილო გზების დეპარტამენტი ავრცელებს.

„კურორტ ბახმარომდე მისასვლელ საავტომობილო გზაზე მოეწყო ასფალტ-ბეტონის ახალი საფარი და ხელოვნური ნაგებობები – წყალგამტარი ლითონის მილები, რკინაბეტონის და გაბიონის საყრდენი კედლები და სხვა. საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით, გზა შემოიფარგლა ლითონის მრუდხაზოვანი ზღუდარებით, მოინიშნა გზის სავალი ნაწილი, მოეწყო საგზაო ნიშნები და ჩატარდა გზის ჰორიზონტალური მონიშვნის სამუშაოები. სარეაბილიტაციო მონაკვეთებზე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებით ავტოტრანსპორტის გადაადგილება უსაფრთხო და კომფორტული გახდა. შემცირდა მგზავრობის დროც. სარეაბილიტაციო სამუშაოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან 19.2 მილიონი ლარით დაფინანსდა.



## მილოცვა

**ჭუმბურიძეთა საგვარეულო კავშირის, ოჯახისა და პირადად ჩემი სახელით, დაბადების დღეს ვულოცავ სიყვარულის, სიკეთის, სიმართლის მთესველ, უკეთილშობილეს, ახლობლებისა და მეგობრების გვერდში მდგომ გამორჩეულ პიროვნებას, დამსახურებულ სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწეს, სუფთა კაცს**

**თემურ ჭუმბურიძეს**

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს, დიდხანს სიცოცხლეს მის ძვირფას ოჯახთან და ახლობლებთან ერთად.

**მამია, თამარ, გოგიტა, ქეთინო და რუსუდან ჭუმბურიძეები.**

## დათო მაღრაძის ლექსი სიცილიაში ხარების ტაძრის კედელზე განთავსდა



**24 აგვისტოს კუნძულ სიცილიაზე, პოეზიის საერთაშორისო ფესტივალის – „ფედერიჩიანოს“ და ქალაქ აუგუსტას მუნიციპალიტეტის ინიციატივით, კერამიკულ ფილაზე პოეტ დათო მაღრაძის ლექსი – ROMA AMOR პოეტების ქუჩაზე, ქალაქის ისტორიულ ნაწილში ხარების ტაძრის კედელზე განთავსდა.**

ცერემონიაში მონაწილეობდნენ საქართველოს გენერალური კონსული ქალაქ ბარიში ვახტანგ ანდღულაძე და საკონსულოს ადმინისტრაციული მენეჯერი გრიგოლ ქურიძე.

ლექსი თარგმნა ნუნუ გელაძემ.

## ნინი ბრეგვაძემ აშშ-ის ჰიმნი ნიუ-იორკში, 70 000 მაყურებლის წინაშე შეასრულა

**ქართველმა მომღერალმა ნინი ბრეგვაძემ აშშ-ის ჰიმნი ნიუ-იორკში 70 000 მაყურებლის წინაშე შეასრულა.**

მომღერალი სოციალურ ქსელში პოსტს აქვეყნებს და აღნიშნავს, რომ ეს შესრულება წარმოუდგენლად დიდი პატივია მისთვის, როგორც ამერიკის მოქალაქეობის ახლად მიღებული ადამიანისთვის.

„ჩემთვის დიდი პატივია 70 000 ადამიანის წინაშე ეროვნული ჰიმნის შესრულება, სუპერ ბოულის გამარჯვებულების გვერდიგვერდ. წარმოუდგენლად დიდი პატივია და მადლიერი ვარ, როგორც საქართველოს და ახლა უკვე აშშ-ის მოქალაქე“, – წერს ნინი ბრეგვაძე.



## სიღნაღის ხელოვნების ფესტივალი დასრულდა

**საქართველოს ეროვნული მუზეუმის აქტიური მხარდაჭერითა და სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიასთან თანამშრომლობით, ქალაქ სიღნაღში ხელოვნების ფესტივალი გაიმართა.**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, სიღნაღის ხელოვნების ფესტივალის მიზანია მხატვრებისა და მოქანდაკეებისთვის შემოქმედებითი გარემოს შექმნა, სახვითი ხელოვნების პოპულარიზაცია და მისი განვითარების ხელშეწყობა. ფესტივალის მიმდინარეობისას მხატვრებსა და მოქანდაკეებს ჰქონდათ ყველა პირობა საკონკურსო ნამუშევრების შესაქმნელად. გაიმართა ფოტოკონკურსიც.

ხელოვნების ფესტივალი დაჯილდოების ცერემონიით დაიხურა.

ინფორმაციისთვის: სიღნაღის ხელოვნების ფესტივალი 2022 წელს საქართველოს კულტურის მინისტრის, თეა წულუკიანის, მხარდაჭერით და გურჯაანის, დედოფლისწყაროს, სიღნაღისა და საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატის, დავით სონღულაშვილის, ინიციატივით დაფუძნდა. ფესტივალი წელს მეორედ ჩატარდა.

**უცხოური ვალუტის კურსი:**

**აშშ დოლარი - 2.6977; ევრო - 3.0004;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5397;**
**100 რუბლი - 2.9415; თურქული ლირა - 0.0793;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.5866;**
**1000 სომხური დრამი - 6.9573.**

## ვოლოდიმირ ზელენსკი: პუტინი მალე გაიგებს, რა არის უკრაინული შურისძიება!

**უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით გავრცელებულ გამოსვლაში პირობა დადო, რომ უკრაინა რუსეთზე შურს იძიებს.**



„ჩვენი მტერი გაიგებს, რა არის უკრაინული შურისძიება. ღირსეული, სიმეტრიული, გრძელვადიანი“, – განაცხადა ზელენსკიმ ვიდეომიმართვაში, რომელიც, სავარაუდოდ, რუსეთის საზღვართან ახლოს, სუმის რეგიონშია ჩაწერილი.

მისი თქმით, „მოხუცი წითელი მოედნიდან, რომელიც ყველას მუდმივად წითელი ღილაკით ემუქრება, ვერ გვიკარნახებს საკუთარ წითელ ხაზებს“.

უფრო კონკრეტულად ზელენსკიმ თქვა:

„უკრაინელები ყოველთვის იხდიან ვალს. ვისაც სურდა უბედურება ჩვენს მიწაზე, იპოვის მას საკუთარ სახლში; ვინც ჩვენს მიწაზე ბოროტების დათესვას ცდილობს, მის ნაყოფს საკუთარ ტერიტორიაზე მოიმკის. ეს არ არის წინასწარმეტყველება, არ არის ბრმა შურისძიება, ეს არის მაგალითი, ბუმერანგი ბოროტებისთვის და მისი გაშვება დაიწყო არც ისე შორს იმ ადგილიდან, სადაც მე ამ ვიდეოს ვწერ, სუმის რეგიონში. ჩვენი საზღვრიდან რამდენიმე კილომეტრში. ეს არის საზღვარი უკრაინასა და ჩაგვრას შორის, სიცოცხლესა და სიკვდილს შორის. საზღვარი დამოუკიდებელ ევროპულ სახელმწიფოსა და მსოფლიოში ნომერ პირველ ტერორისტულ ორგანიზაციას შორის“, – განაცხადა ზელენსკიმ.

## ავღანეთში ქალებს საჯაროდ სიმღერა და კითხვა აეკრძალათ!



**ირანში ჰიჯაბის სავალდებულო ტარების შესახებ კანონი გაამკაცრეს.**

ავღანეთში თალიბანის რეჟიმმა ქალებს საჯაროდ სიმღერა და კითხვა აუკრძალა.

ე.წ. სათნოებისა და მანკიერების კანონების მე-13 მუხლში, რომელიც ქალებს ეხება, ასევე ნათქვამია, რომ ქალებისთვის საჯარო სივრცეში ყოფნის დროს სავალდებულოა სხეულისა და სახის დაფარვა. მათ ვიწრო, თხელი ან მოკლე ტანისამოსის ტარებაც ეკრძალებათ.

„თალიბანის“ განცხადებით, ახალი ისლამური კანონები დიდად შეუწყობს ხელს სათნოების დამკვიდრებას და მანკიერების აღმოფხვრას.

## კოსმოსში ჩარჩენილები...

**ამერიკის აეროკოსმოსურმა სააგენტომ (NASA) 24 აგვისტოს გამოაცხადა, რომ კომპანია SpaceX იქნება პასუხისმგებელი კორპორაცია Boeing-ის ხომალდ Starliner-ის ეკიპაჟის კოსმოსიდან დაბრუნებაზე.**



„ტექნიკური პრობლემების გამო Starliner-ის ასტრონავტები დედამიწაზე დაბრუნებას მხოლოდ მომავალ წელს შეძლებენ“, – იუწყება სააგენტო Reuters.

Starliner-მა სტარტი 2024 წლის 5 ივნისს აიღო და უკან 8 დღეში უნდა დაბრუნებულიყო, თუმცა ასტრონავტები დედამიწას მხოლოდ 2025 წლის 25 თებერვალს დაუბრუნდებიან. ამჟამად ისინი საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე იმყოფებიან.

Starliner-ი საერთაშორისო კოსმოსურ სადგურს მოწყდება და დედამიწაზე დაბრუნდება ავტომატური რეჟიმით, ბორტზე ეკიპაჟის წევრების გარეშე.

## გასწორება

**ჩვენი** გაზეთის 22 აგვისტოს (N96) ნომერში, პუბლიკაციაში **„ძალიან მაგნე „N“, „ვიაგრას“ ოინები და სხვა“**, რომელიც პროფესორ ა. ჩხოტუას რუბრიკაში „ჩვენი ოჯახის უროლოგი“ გამოქვეყნდა, დაშვებულია რამდენიმე უზუსტობა, რისთვისაც ბოდიშს ვუხდით მკითხველს.

**დაბეჭდილია:** „მამაკაცის სექსუალური ფუნქცია **მრავალკომპლექსური**, რთული“...

**უნდა იყოს: კომპლექსური**, ან მრავალფაქტორიანი. კომპლექსური თავისთავად გულისხმობს მრავალფაქტორიანს.

**დაბეჭდილია:** „ცნობილია, რომ **ნარკოლოგიურმა** მკურნალობამ ბოლო ათწლეულში...“

**უნდა იყოს:** „ცნობილია, რომ **ერექციული დისფუნქციის** მკურნალობამ ბოლო ათწლეულებში“

**დაბეჭდილია:** „სწორედ ამას ვგულისხმობდი, როცა აღვნიშნე, რომ მამაკაცის ეს ფუნქცია მეტად ფაქიზია და მრავალი სხვა ფაქტორით შეიძლება **იყოს გამოწვეული**“

**უნდა იყოს:** „სწორედ ამას ვგულისხმობდი, როცა აღვნიშნე, რომ მამაკაცის ეს ფუნქცია მეტად ფაქიზია და მრავალი სხვადასხვა მიზეზით შეიძლება **დაზიანდეს**“.

**დაბეჭდილია:** „მის დარღვევაში აღნიშნული ორგანოების დაავადებებმა შეიძლება **იქონიონ** გარკვეული **უარყოფითი ზეგავლენა**“.

**უნდა იყოს:** „მის დარღვევაში ორგანოების დაავადებებმა შეიძლება **ითამაშონ** გარკვეული **როლი**“.

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**
დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 28 აგვისტოს**